№ 186 1877 -1905 № 186

ოთხშაბათი, 12 ოქტომბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილით 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ოთხშაბათს, 12 ოქტომბერს ნავთლუღის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვი-
დი გარდაცვლილებულის

კნეინა ანნა ილიას ასულის ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად. განსვენებულს დაასაფლავებენ კახეთში, 14 ოქტომბერს, შუამთის მონასტერში.

პირველი აბონემენტი

№ 3 ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 3

ხუთშაბათს, 13 ოქტომბერს,

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნება:

I

მამა

ტრაგედია 3 მოქმ, ა. სტრინდბერგისა, თარგ. თ. ხუსკივაძის მიერ.

II

ბებრის სალერღელი

ვოდევილი 1 მოქ., მ. ზურეევიჩისა, თარგ. დ. აწყურელის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგა-რეთელი, მ. მდივანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ზ. საფაროვი, კ. შათირიშვილი, ე. ურუშაძე.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე

ადგილების ფასი: ლოჟები 2 მ.-დან 10-მდე, ბალკონი 60 კ.-დან 75 კ.-მდე, ამფითეატრი 1 მ. გალერეა 25 კ.-დან 35.-მდე.

მოსწავლეთათვის ადგილები 40 კაპ.

რეჟისორი ვალ. გუნია.

მზადდება წარმოსადგენად „სულით ობოლი“, „შიო თავადი“, „მარუჩა“—„კოხში“ და სხ.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს:

1) ყველანი ისხდნენ მხოლოდ თავთავიანთ ადგილებზე, რაიც აღნიშნულია ხოლმე ბილეთებზე, რათა მით დამყარდეს სასურველი და საჭირო წესრიგიანობა,

2) პიესის წარმოდგენის დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო დროს მოქმედების შეწყვეტა შთაბეჭდილების მთლიანობას აფუჭებს და მსახიობთაც აღკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკვრელათ

3) მეორე ზარის შემდეგ ყველანი დასხდნენ თავთავიანთ ადგილას და ამით ხელი შეუწყონ ანტრაქტების შემცირებას და ამავე დროს მოერიდნენ სხვა მაყურებელთა შეწუხებას უდროვო დროს ადგილების ძებნით.

რეჟისორი ვ. გუნია

საყმაწვილო ჟურნალი

ნაკადული

სურათებით

წელიწადი მეორე ✦ მცირე-წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის ✦ წელიწადი მეორე

გამოვა თვეში ორჯერ სამ წიგნად: ორი მცირე-წლოვანთათვის და ერთი—მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი მწერლობის საუკეთესო მოღვაწენი

წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა — წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან., ნახევარის წლით: ერთად—2 მან. 50 კაპ.; ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 40 კაპ. ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის — 15 კ., მოზრდილთათვის—25 კაპ. წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში და წ. კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში. აგრეთვე ქალაქ გარედ ჩვენს აგენტებთან: ბაქოში: ანეტა ქვანიასთან და ნ. დეკანოზიშვილთან. ქუთაისში: კოლხიდის საზოგადოებაში, კნ. ბარბარე წერეთლისას და ანნა დადეშკელიანთან. ბათომში: მარიამ ელიავასთან, კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და იასე რაჭველთან. სოხუმში: კნ. ტერეზია შერვაშიძესთან და ნიკო თავდგირიძესთან. ახალციხეში: სვიმონ ხუთისავარაშვილთან. გორში: თამარა და ნინო ლომაურებთან და კნ. ელენე ერისთავისასთან, ფოთში: იბკობ ფანცხავასთან და თავ. ვლადიმერ სვიმონის ძე აბაშიძესთან. ჭიათურაში: ირაკლი დეკანოზიშვილთან. საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან. ერევანში: მარიამ ფავლენოვთან.

რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილის სახლში, № 8.

✦ დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. ✦

ის წერილები, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული სურვილი ჰონორარის მიღებისა, უსასყიდლოდ იქმნება ჩათვლილი.

პირობებზე მოსალაპარაკებლად რედაქცია ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.

რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიასი.

გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.

ჟ. მ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შიაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ა. გ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ვ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ნაფიცი ვექილი

ივანე ზურაბიშვილი

გადავიდა სასამართლოს (Судебная) ქუჩაზე, მდივანის სახლში, 41. (3—6)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 ხუთხეში, ლვოვის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლ 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაწაძე ხფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარინის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე ბავშვების და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევის 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

დოქტორი მედიცინისა

ვ. ი. ინაშვილი

მიიღებს შიგნეულის, ქალების, და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, ნაშუადღევის პირველ საათიდან საღამოს 5 საათამდე.

ნიკოლოოზის ქუჩა, № 31, სახლი მადათოვისა. (20—4)

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის ლ. დ. დონსკოისა

ოთხშაბათს, 21 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქმნება

ქიდოვკა

ოპერა 5 მოქმ. მუსიკა გალევისა თარგმანი ამნისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დუბროვსკაია, ნოვოსპასკაია, ნიკიტინსკაია, ბ-ნნი: დონსკოი, გამბა ელეაზარ, ლეოპოლდი, დრაკული, დემიანენკო, ფილიპოვი, შეინი და სურდისი.

ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.

სამხედრო მუსიკა კავკასიის 1-ლ საპერნი ბატალიონისა, ბ-ნ რიხტერის ხელმძღვანელობით.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კაპელმეისტერი ი. პ. ფალიაშვილი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

ბილეთები მოწაფეთათვის ისყიდება „ლოკასიონ“-ის კასაში საღამოს 7¾ ს.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი: ხუთშაბათს 13 ოქტომბერს დანიშნულია ქართული წარმოდგენა, წარმოდგენილი იქმნება მამა სტრინბერგი. პარასკევს 14 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქმნება გალკა, ოპერა 4 მოქმ. მონიუშკოსი შაბათს, 15 ოქტომბერს წარმოდგენილი იქმნება სპექტაკლი „გალა“ რომეო და ჯულიეტა.

საგულისხმიერო ფაქტი

ჩვენში ძალიან მოდაშია ერთნაირი ,,პატრიოტობა'', რომელიც მარტოოდენ თბილ-თბილ სიტყვების ხარჯვაში გამოიხატება და რომელთანაც არავითარი იმ სიტყვებთან შეთანხმებული მოქმედება არაა შეკავშირებული. ამგვარი ,,პატრიოტი'' მუდამ ეროვნებასა და ეროვნულ საჭიროებაზე ლაპარაკობს, მუდამ ქართულ ენას იცავს, მუდამ ,,ქართველობს'', ერთის სიტყვით —გაუწყვეტლივ ,,პატრიოტობს'', და ჩვენში არიან ისეთი გულუბრყვილონი, რომელნიც პრტყელ-პრტყელ პატრიოტულ ფრაზებს ყურადღებას აქცევენ, მუქთ სიტყვას, რომელზედაც მთქმელს არა ეხარჯება-რა, თვითცნობიერების ნიშნად სთვლიან და, ამგვარ ,,მორეჩე პატრიოტთა'' სიმრავლის საფუძვლით, ჰგონიათ, რომ ჩვენში დიდად მომწიფებული და გაზრდილია ეროვნული შეგნება და ცნობიერება...

მაგრამ საკმარისია ცოტათი მაინც დააკვირდეთ იმ ,,მორეჩეთა'' პრაქტიკულ მოქმედებას, რომ ხელად დარწმუნდეთ, თუ რამოდენად ყალბი და უშინაარსოა მათი პატრიოტული ოხვრა და გულში მუშტის ცემა... ამის დამამტკიცებელი მაგალითები ძალიან ბევრია ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ დღეს მხოლოდ ერთს მოგახსენებთ, რომელიც სრულიად საკმარისია ჩვენის შეგნებულობისა და ცნობიერების ცხადსაყოფელად. ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ეპყრობა თვითონ ქართველი თავის დედაენას,—იმ დედა-ენას, რომელსაც იგი ვითომ ,,იცავს'',—მის სწავლებას თხოულობს სასწავლებლებში, მის შევიწროვებაზე მუდამ სჩივის და ყველაფერს ,,წესწყობილებას'' აბრალებს. ეს მაგალითი დაგარწმუნებთ, რომ ის ქართველი, რომელიც სიტყვით ასე ,,პატრიოტულად სწუხს'' ქართულ ენისათვის, ხშირად თითსაც კი არ გაანძრევს იმავე ენის სასარგებლოდ და საქმის დროსაც მხოლოდ იმით დაკმაყოფილდება, რომ ჩვეულებისამებრ პრტყელ-პრტყელ სიტყვებს იტყვის, ბრალს მთლად „სხვას“ მოახვევს თავზე და თვითონ თავისთვის ყოველგვარ მოვალეობისა და პასუხისმგებლობისაგან გაინთავისუფლებს. როგორც წაქცეული ბავშვი თავის წაქცევის მიზეზად მხოლოდ იმ ქვას სთვლის, რომელსაც მან ფეხი წამოჰკრა, და სრულიად არ ახსენდება, რომ თვითონაც წინდაუხედავად მიდიოდა, ისევე ქართველი „პატრიოტი“ კმაყოფილდება იმ „აღმოჩენით“, რომ არსებული ,,რეჟიმი'' სჩაგრავს მის დედა-ენას, გადაგვარების გზაზე აყენებს ახალთაობას, და აზრად არ მოსდის, რომ ამგვარ წესწყობილებასთან საჭიროა ბრძოლა, საჭიროა მოქმედება, რომ მანაც ხელი უნდა გაანძრიოს და საქმით დაუმტკიცოს ყველას, რომ მისთვის დედა-ენის „მფარველობა“ ან სხვა რამ ეროვნული მოთხოვნილება ცარიელი სიტყვა კი არაა, არამედ—სავსებით შეგნებული და მისი არსების ძვალსა და რბილში გამჯდარი მისწრაფებაა...

აი, გაიგონეთ:

9 ოქტომბერს ტფილისის მეორე სავაჟო გიმნაზიაში გაიმართა ქართველ და სომეხ მოსწავლეთა მშობლების კრება. გიმნაზიის დირექტორმა მოიწვია მშობლები, რათა მათთან მოელაპარაკნა გიმნაზიაში ქართულ და სომხურ ენების სწავლების მოწყობის შესახებ.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს გადაუწყვეტია, რომ წელს საეალდებულოდ გახადონ საშუალო სასწავლებლებში ადგილობრივ ენების სწავლება. ეს ენები წელს უნდა ასწავლონ მე-5 კლასამდის, ხოლო შემდეგ თანდათან ყველა კლასებში. ქართულ და სომხურ ენების სასწავლებლად წელს მეორე გიმნაზიისთვის დაუნიშნავთ მხოლოდ 800 მანეთი, ანუ თითოეულ ენისთვის 400 მანეთი. რა თქმა უნდა, ეს ფული არ კმარა არც ქართულისა და არც სომხურ ენის მასწავლებლის ჯამაგირად და ამიტომ დირექტორმა მიმართა მშობლებს წინადადებით, რომ მათაც გამოეღოთ წვლილი და ადგილობრივ ენების მასწავლებლებისთვის შეევსოთ ჯამაგირი, ე. ი. თავის ჯიბიდან გადაეხადათ მათი შვილებისთვის დედა-ენის სწავლების ხარჯის ნაწილი.

ეს არის 9 ოქტომბრის კრების სათათბირო საგნის ერთი მხარე. ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მთავრობის წინანდელი დაპირება საშუალო სასწავლებლებში ადგილობრივ ენების შესახებ დღეს ფაქტიურად ისე მცირე მასშტაბით გამოიხატა, რომ ქართულ ენას, ვითარცა სასწავლო საგანს, მხოლოდ პირველ 5 კლასში ექნება ალაგი, რომ ამ ენის მასწავლებლისთვის მხოლოდ 400 მანეთი მოინარჩუნეს, მაშინ როდესაც იგივე სამოსწავლო მთავრობა სხვა საგნებისთვის, რომლებიც ქართულსავით აბუჩად აგდებული არაა, ყოველთვის შოულობს ფულს და ახერხებს ხარჯების დაფარვას. ეს ამბავი მხოლოდ იმას გაუკვირდება ან ეუცხოვება, ვინც «სხვისი» იმედით ყოფნას არის დაჩვეული.

ჩვენ აქ უფრო ის გვაინტერესებს, თუ რა პასუხი გასცეს გიმნაზიის დირექტორს მოსწავლეების მშობლებმა. და, აი, ეს გახლავთ მეორე, ჩვენთვის ძალიან საგულისხმიერო, მხარე იმდღევანდელ კრების თათბირისა. ქართველებმა შემდეგი გადაწყვეტილება მიიღეს: უსამართლობად და ჩვენს შეურაცხყოფად ვთვლით, რომ ტფილისში, თავის სამშობლოში, ქართველებმა ფასი უნდა ვიხადოთ დედა-ენის სწავლებისათვის, მაგრამ, ვთანხმდებით მხოლოდ ამ წლის განმავლობაში ამ საგნისთვის თითომ ხუთ-ხუთი მანეთი გადავიხადოთო. სომხებმაც ასეთი თანხმობა განუცხადეს ფულის გადახდაზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი მზად არიან იხადონ ხუთ-ხუთი მანეთი სომხურ ენის სწავლებისათვის, სანამ ეს ენა საშტატო საგნათ არ იქნება ჩარიცხული, დ აგრეთვე იმ სომეხ მშობლების მაგიერადაც გადიხდიან, რომელნიც სიღარიბის გამო თავის წილის შემოტანას ვერ შესძლებენო...

პატარა, მაგრამ ძალიან დამახასიათებელი ამბავია, მკითხველო, განა! ქართველები ისეთ „პროტესტს“ აცხადებენ, რომ ყველას ეგონება,—ისინი ქართულ ენისთვის თავგამოდებულნი არიანო. ნამდვილად კი ისინი თანხმდებიან მხოლოდ ამ წლის განმავლობაში იხადონ სწავლის ფული. მერე? ვთქვათ, შემდეგ წელში მთავრობამ კიდევ არ გადასდო საჭირო ფული,—ქართულ ენისთვის წავლის ფულის გადახდა ისევე მშობლებს დააწვება. რას იტყვიან ჩვენი მშობლები? ისინი ერთხელ კიდევ პროტესტს განაცხადებენ და... შვილებს წაიყვანენ გიმნაზიიდან? არ იფიქროთ! ისინი „პროტესტით“ დაკმაყოფილდებიან და დედა-ენის სწავლებაზე ხელს აიღებენ. ასეთი გახლავთ დედა-ენის „ქართული მფარველობა“. სომხები არა თუ იხდიან თავის წილს, არამედ ამ საქმეში ერთმანეთსაც ეხმარებიან.

ეს არაა ახალი ამბავი. თუ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ,,ანგარიშებს'' გადაშინჯავთ, დარწმუნდებით, რომ საშუალო სასწავლებლებში ქართველების ბევრად ნაკლები პროცენტი სწავლობს თავის დედა-ენას, ვიდრე სომხები სომხურ ენას. ქართველი დედმამა ხშირად უარს ამბობდა ქართულისთვის ფულის გადახდაზე და თავის შვილს დედა-ენის სწავლაზე ხელს აღებინებდა. სომხები კი ფულსაც იხდიდნენ და დედა-ენის სწავლას შვილებსაც ავალებდნენ.

ქართველები უფრო ღარიბები არიან, სწავლებაც უხეიროდ იყო მოწყობილი და ამიტომ უარს ამბობდნენო,—იტყვის ვინმე გასამართლებლად. მაგრამ უკანასკნელი გარემოება (სწავლების უხეირობა) ერთნაირი იყო როგორც ქართველებისთვის, ისე სომხებისთვის, ხოლო, რაც შეეხება უსახსრობას,—ეს საკმაო მიზეზი არაა თავის გასამართლებლად. ქართული ენისთვის ორიოდე მანეთის გადახდა არც ისე ძნელი საქმეა, რომ, თუ მშობელს ეროვნული შეგნება აქვს, ვერ მოახერხოს და ამის მიზეზით შვილს დედა-ენის სწავლაზე ხელი აალებინოს.

ასე იყო ეს წინად და... ასეა დღესაც. ქართველი ისწავლის—ისწავლის კი?—თავის დედაენას, თუ მას ძალად ასწავლიან, ხოლო თავის ნებით კი არ იზამს.

სომეხი?..

მაგრამ ამას თქვენც ხედავთ...

ზავის შემდეგ

როგორ ჩქარობდნენ რუსეთში ზოგიერთები ომიანობის შეწყვეტას, როგორ ენატრებოდათ ზავი იაპონელებთან!.. ეგონათ რომ ზავის შემდეგ თავისთავად მოისპობოდა ის უკმაყოფილება, რომელიც, მათის აზრით, მხოლოდ დამარცხებით და ომიანობით იყო გამოწვეული,—ამიტომ ფიქრობდნენ, რომ ომის შეწყვეტა შეასუსტებდა იმ მოძრაობას, რომელსაც მიზნად ჰქონდა არსებულ რეჟიმის გამოცვლა რუსეთში.

მართლაც, ამ ომიანობის დროს ხალხი დარწმუნდა, რომ ეს ომი კერძო პირთა გამდიდრების სურვილით იყო გამოწვეული, რომ ამ რამოდენიმე პირთა გულისთვის იღლიტებოდნენ ჯარის კაცები ძ ძირი ეხრჩობოდა ხალხის კეთილდღეობას, რომ ქურდბაცაცობა სისტემად იყო გადაქცეული, რომ ჯარი მშიერ-მწყურვალი და ფეხ-შიშველა რჩებოდა, თუმცა მისი შენახვის ხარჯი სრულად და ხშირად ერთი-ათად იწერებოდა დავთრებში. ძნელი მოსალოდნელი იყო, რომ ამის მნახველ ხალხს უკმაყოფილება არ გამოეთქვა, მით უფრო იმიტომ, რომ შორეულ აღმოსავლეთში დამარცხებამ ფასი დაუკარგა მმართველ წრეების ძლიერებას და რომ ამის გამო თავის-თავად მოსუსტდა ის მუხრუჭი, რომელიც წინედ ლაპარაკის და საკუთარ აზრის გამომჟღავნების უფლებასაც კი არ აძლევდა არავის.

მართლაც, ის მოძრაობა, რომელიც აქა-იქ თავს იჩენდა, შემდეგ საშინლად გაძლიერდა და ძველი რეჟიმის მომხრეთათვის საშიში შეიქნა. გაიხსენეთ პეტერბურგის ამბები, დასავლეთ რუსეთში პოლონელების და ლატიშების მოძრაობა, ებრაელების ბრძოლა უფლებების მოსაპოვებლად, გაიხსენეთ ბალაშოვის და ნიჟნი ნოვგოროდის საშინელება,—ივანოვო-ვოზნესენსკი, ოდესსა, კურსკი,—მუშათა მოძრაობის გაძლიერება, სხვადასხვა პოლიტიკურ კავშირების და პარტიების დაარსება, ხალხის გამოფხიზლება და მასთან ერთად ძველ რეჟიმის მომხრეთაგან შავ რაზმების შექმნა, კაზაკების თარეში, ადმინისტრატიულ თვითნებობის მომატება, სამხედრო და გაძლიერებულ დაცვის წესების შემოღება,—ბოლოს ყუმბარები და იარაღით ხელში ბრძოლა ერთის მხრივ, ხალხის გაჟლეტა, სარჩობელა და სამხედრო სასამართლოები—მეორეს მხრივ,—აი, ეს არის რუსეთში შინაურ ცხოვრების სურათი ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში. დავუმატოთ ამას არეულობა უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, სოფლის გამოფხიზლება და სადგილ-მამულო მოძრაობის სიმწვავე, დავუმატოთ კიდევ ამ საერთო არეულობის და გამოფხიზლების დროს ეროვნულ განხეთქილების გაძლიერება, ზოგიერთ, დღემდის ენა ჩავარდნილ ეროვნების გამოფხიზლება, ყველა ის საიმედო და სასოწარკვეთილების მომგვრელი მოვლენა, რომელიც ყველგან თან ახლავს გამოფხიზლებულ ხალხის ბრძოლას უფლებების მოსაპოვებლად... ცხადია, რომ ძველი რეჟიმის მომხრენი, რომელთაც ეგონათ, რომ ყოველივე ეს მოვლენა გამოწვეული იყო ომიანობით, ნატრობდნენ: ნეტავი მალე იყოს ზავი, მას შემდეგ ხალხი დამშვიდდებაო...

ახლა ზავის პირობა უკვე ორივე მეომარ სახელმწიფოსაგან მიღებული და ხელმწერილია, მაგრამ მას ის შედეგი არ მოჰყვა, რომელსაც მოელოდნენ ძველი რეჟიმის მომხრენი,—ხალხი არ დამშვიდდა, ქალაქებსა და სოფლებში დაწყებული საზოგადოებრივი მოძრაობა არ შეწყდა,—პირიქით ხალხი ახლა მეტის მხნეობით და უფრო შეგნებულად მოითხოვს იმ უფლებებს, რომელიც მას ერგება და რომელიც მან უთუოდ უნდა მოიპოვოს სახელმწიფოში. ეს მოძრაობა ვერ ჩააქრო ვერც 6 აგვისტოს გამოცემულმა ბრძანებამ სათათბიროს მოწვევის შესახებ, ვერც უნივერსიტეტების ავტონომიამ, ვერც ახალ რეფორმის დაპირებამ,—ხალხი აცხადებდა, რომ მხოლოდ ძირითად პოლიტიკურ უფლებების მინიჭებას შეუძლიან მოსპოს საერთო უკმაყოფილება და მოძრაობა, რომ მას უნდა სიტყვის, პრესსის და შეკრების თავისუფლება, რომ მას სახელმწიფოს მართვასა და გამგეობაში სრული, კუდმოუკვეცელი მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მინიჭებული.

არსებულ რეჟიმის მომხრენი ამ უფლებებს ხალხს ვერ მიანიჭებენ, ვინაიდან ამის მინიჭება

უდრის თვით ხსენებულ რეჟიმის მოსპობას და იმათ გადადგომას, ვინც დღემდის ამ რეჟიმის მფარველობით სარგებლობდა სახელმწიფოში. მართლაც ზავის პირობა ჯერ ხელმოწერილი არ იყო და უკვე გაისმოდა ხმები, რომ მმართველი წრეები მანჯურიაში გაგზავნილ ჯარებს შინ არ დააბრუნებენ, რომ სასურველად არ მიაჩნიათ ამდენ ახალგაზდა ხალხის ერთბაშად დაბრუნება რუსეთში,—ამასთან ერთად არ წყდებოდა ადმინისტრაციის გაძლიერება, მისი თვითნებობა და კაზაკების ნავარდი, ცხადი იყო, რომ თუ ხალხის მოძრაობას მიზეზად ჰქონდა მხოლოდ უკმაყოფილება ომიანობით და არა ნამდვილი გამოფხიზლება, თუ ხალხისაგან რეფორმების მოთხოვნა იყო მხოლოდ ამ უკმაყოფილების გამომხატველი, მაშინ დღეს, ზავის შემდეგ, ყოველივე მოძრაობა თავისთავად უნდა შეწყვეტილიყო და თუ, პირიქით, ხალხი შეგნებულად ითხოვდა პოლიტიკურ უფლებებს, მის მოპოვებაზე ხელსაც არ აიღებდა და განაგრძობდა მეცადინეობას ამ უფლებების მოსაპოვებლად.

ამ მხრივ მეტად საგულისხმო მასალას იძლევა ის დეპეშები, რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერშია მოთავსებული და რომელიც უკანასკნელ დღეების განმავლობაშიაც ყველას წაკითხული ექმნება. მოსკოვში ხალხის ძლიერი მოძრაობა დაიწყო,—სტამბებში მუშაობა შესწყდა,—ეს მოძრაობა შემდეგ პეტერბურგშიაც გადავიდა, იქაც ჯერ სტამბებში იჩინა თავი და ბოლოს რკინის გზებზე. მიმოსვლა მოსკოვის გარშემო შეწყვეტილია, მატარებლები მოსკოვსა და პეტერბურგს შუა, სამხრეთ-რუსეთშიაც აღარ დაიარება, სევასტოპოლის, სიზრანა — ვიაზემის, მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის, რიაზანი — ურალსკის გზები დაკეტილია. ხარკოვიდან, ნიჟნინოვგოროდიდანაც ამასვე იწერებიან, ეკატერინოსლავში რკინის გზის მუშები გაფიცული არიან,—მოძრაობა თანდათან იზრდება, გაფიცვა მატულობს... გაფიცვა, როგორც იარაღი უკეთეს მომავლის მოსაპოვებლად, — გადამდებ სენივით თანდათან ვრცელდება და ყოველ დღე ახალ ადგილებს ედება,—მას ვერ აჩერებს ვერც რეპრესია, ვერც სამხედრო ძალა და სასჯელის შიში.... ზავის შემდეგ ხალხმა თავის მოთხოვნაზე ხელი არ აიღო და ისევ ძველებურად მოითხოვს რეფორმებს,—დაპირებამ იგი ვერ დააკმაყოფილა...

ზავის შემდეგ მდგომარეობა ამ მხრივ არ შეცვლილა...

ვარ ფ—ი

წერილი მოსკოვიდან

—

დღეს, დილის 7 საათზე, პეტერბურგიდან მოასვენეს უდროოდ და მოულოდნელად გარდაცვალებულის პროფესორის ტრუბეცკოის გვამი. ვოგზალზე კუბოს დაუხვდნენ რექტორის თანაშემწე მანუილოვი, სხვა პროფესორები, სტუდენტები და სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენელნი. იყვნენ აგრეთვე მოსკოვის გუბერნატორი და ვიცე-გუბერნატორი. როდესაც მატარებელი მოვიდა, სტუდენტებმა აიღეს გვირგვინები და უნივერსიტეტისკენ გაემართნენ. სხვა გვირგვინებთა შორის ყურადღების ღირსია შემდეგი: 1) „თამამ გამომხატველს ხალხის ინტერესებისას“, სახელმწიფო ბანკის მოსამსახურეებისგან; 2) გაზეთმა „პრავომ“ შემდეგი გვირგვინი გამოგზავნა: „იდეალისტ-მებრძოლს“; 3) სრულიად რუსეთის რკინის გზის მოსამსახურეთა პირველ კავშირის დელეგატებისაგან: „საომარ ველზე დაღუპულ მებრძოლს“; 4) ნიკოლაევის რკინის გზის მოსამსახურეთაგან: „რუსეთის ხალხის განთავისუფლებისთვის მებრძოლს“; 5) ხელოსნებისა და ტეხნიკების კავშირებისგან: „მოქალაქე ტრუბეცკოის, ბრძოლის დროს დაღუპულს“; 6) მოსკოველ ებრაელთაგან: „პატიოსან მოქალაქეს და სიმართლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლს“; 7) ბაქოელ თათრებისაგან: „ერობის თანასწორობისთვის მებრძოლს“; 8) პეტერბურგის გუბერნიის გლეხკაცებისგან: „ხალხის უფლებისთვის მებრძოლს“; 9) ქალების საექიმო ინსტიტუტის მსმენელებისგან: „უდროოდ დაღუპულ, წმინდა მებრძოლს—მოქალაქეს, რომელიც ვერ მოესწრო გაზაფხულს“; 10) გაზეთ «ნოვოსტი»-საგან: „თავისუფლების რაინდს“; 11) კონსტიტუციის მომხრე ჩინოვნიკებისგან: „თავისუფლებისთვის მებრძოლს“ და სხვა და სხვა.

კუბო მატარებლიდან გამოასვენეს: პროფესორმა მანუილოვმა, კლიუჩევსკიმ, გარდაცვალებულის ძმამ, გუბერნატორმა და სხვამ.

კუბო მიასვენეს უნივერსიტეტის საყდარში. პოლიცია არსად სჩანდა და ამიტომ წესიერება არ დარღვეულა. უნივერსიტეტის საყდრიდან ტრუბეცკოის გვამი გაასვენეს დონის მონასტერში.

სასაფლაოზე რამდენიმე ათასი ქალი და კაცი ელოდა. იქმნა წარმოთქმული რამდენიმე სიტყვა, რომელთა შორის ყველაზე დიდი ყურადღება მიიქცია ებრაელების რაბინის სიტყვამ. მან აღნიშნა ტრუბეცკოის მოღვაწეობა, როგორც პუბლიცისტისა და პოლიტიკურ მოღვაწისა და, სხვათა შორის, სთქვა, რომ ტრუბეცკოი ებრაელების თანასწორობის მომხრე იყო. და ეს კარგი განწყობილება ებრაელებისადმი ტრუბეცკოის უანდერძა მისმა მეგობარმა ვლადიმირ სოლოვიოვმა, რომელმაც სიკვდილის წინა წუთებში სთქვა: გამომაფხიზლეთ, მე მინდა ვილოცო ებრაელებისთვის“. მეო, დაასრულა სიტყვა ებრაელების რაბინმა: როგორც წარმომადგენელი, გარეგან ძალით დამონებულ, მაგრამ სულიერად თავისუფალ ებრაელებისა, მადლობას ვუძღვნი ამ სამართლიან გრძნობისთვის პატივცემულ მოქალაქეს.

შემდეგ პროფესორმა მანუილოვმა ილაპარაკა. მან დაახასიათა ტრუბეცკოი, როგორც მომხრე თავისუფლებისა, როგორც ადამიანი, ნათელ იდეალებით აღჭურვილი, მაღალის ზნეობისა. პროფესორმა ლოპატინმა გაარჩია ტრუბეცკოის მოღვაწეობა, როგორც ფილოსოფოსისა და პოლიტიკურ ლეგალურ მოღვაწისა. მოხუცმა პროფესორმა თვისი სიტყვა ასე დააბოლოვა, ,,ნახვამდის ძვირფასო მეგობარო!..‘‘

ერობათა წარმომადგენლებიდან გოლოვინმა ილაპარაკა. მისი აზრით ტრუბეცკოი, როგორც მეცნიერებით გატაცებული კაცი, პოლიტიკური მოღვაწე არ იყო, მაგრამ განმათავისუფლებელ მოძრაობამ იგიც გაიტაცა, და მისმა გრძნობიერმა გულმა, გამჭრიახე ჭკუამ და უშიშარმა ბუნებამ იგი ამ მოძრაობის თავში დააყენა. ვიქონიოთ იმედი, რომ ტრუბეცკოის იდეალები მალე განხორციელდებიან ცხოვრებაში“.

ხარკოველმა პროფესორმა ჩუბინსკიმ აღნიშნა, რომ ტრუბეცკოი პეტერბურგში წავიდა, უნივერსიტეტში მიტინგების გამართვის თავისუფლების მოსაპოვებლად, იმიტომ რომ ხალხს კრებების თავისუფლება არა აქვს.

ორატორი მოიწვევს ყველას ტრუბეცკოის იდეალებისთვის საბრძოლველად.

ამ დროს მუშები ცალკე გავიდნენ, ააფრიალეს წითელი ბაირაღი და სიტყვები წარმოსთქვეს. თავისუფლებას ლიბერალები კი არ მოიპოვებენ, არამედ ჩვენ,—მუშებიო, გაისმოდა ხალხიდან. შემდეგ სტუდენტები და მუშები შეერთდნენ და აკრძალული სიმღერებით გაემართნენ. ნახევარ საათზე მეტი იარეს, კაზაკები უკან მისდევდნენ და ბოლოს თოფის სროლაც მოისმა. კაზაკებმა ცარიელი პატრონები დაახალეს. შემდეგ ხალხიდანაც ისროლეს და ბოლოს მათრახების ზუზუნიც მოისმა. რასაკვირველია უიარაღო ხალხი თავ-ზარ დაცემული დაიფანტა, ზოგს ისე შეეშინდა, რომ მივარდა სხვის სახლს, მუშტით ფანჯარა შეამტვრია და სხვის სასტუმროში კი ამოჰყო თავი.

ცემა-ტყეპაში მონაწილეობა შავმა რაზმმაც მიიღო. სხვათა შორის, საცემრად იწიეს ჟურნალ ,,პრავდის‘‘ თანამშრომელზე, მაგრამ ამან გაქცევით თავს უშველა...

ერთის სიტყვით, ხალხის შეკრება ისე გათავდა, როგორც საერთოდ რუსეთში თავდება ხოლმე —ცემა-ტყეპით.

იგ. ნ.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. 11 ოქტომბერი. დღეს გაიფიცნენ მზარეულები, ლაქიები, ასოთ-ამწყობები და წარადგინეს მოთხოვნილებანი თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

ახალი ამბავი

—

◆ კვირას, 9 ოქტომბერს, ტფ. ვაჟთა მეორე გიმნაზიაში დირექტორის დირბოგლავის თავმჯდომარეობით, მოხდა კრება გიმნაზიის ქართველ და სომეხ მოსწავლეთა მშობლებისა **ადგილობრივი ენების სწავლების** შესახებ მოსალაპარაკებლად. თავმჯდომარემ სთქვა, ამ წლიდან სავალდებულო გახდა კავკასიის საშუალო სკოლებში სამშობლო ენის სწავლება გიმნაზიებში როგორც ქართულის, ისე სხვა ენების მასწავლებელთა ჯამაგირისათვის გადადებულია 400 მან., მაგრამ ეს ფული საკმაო არ არის. ქართული ენის მასწავლებელს კვირაში ექნება 19 გაკვეთილი.—4 გაკვეთილი მოსამზადებელ კლასებში, სამი პირველ კლასში და ორ-ორი დანარჩენ კლასებში, ასე რომ ამ პროგრამის შესასრულებლად წელს 550 მან. გვაკლდება. ასევეა სომხურ გაკვეთილების საქმეცაო. დირექტორმა სთხოვა დამსწრეთ დახმარება. კარგა ხნის თათბირის შემდეგ, ქართველმა მშობლებმა შემდეგი დაადგინეს: თუმცა ჩვენ, ქართველი მშობლები, პრინციპიალურად შეურაცხყოფილად ვთვლით ჩვენ თავს, რომ ტფილისში, ჩვენს დედა-ქალაქში, ქართული ენის სწავლებისთვის დამატებით ფული უნდა გავიღოთ, მაგრამ, რადგან სასურველად მიგვაჩნია სამშობლო ენის სწავლება რიგიანად მოეწყოს, ამიტომ გადავიხდით წელიწადში ხუთ-ხუთ მანათს, ხოლო მარტო ამ წელს გადავიხდითო. სომეხმა მშობლებმა განაცხადეს, გადავიხდით დამატებით წელიწადში ხუთ-ხუთ მანათს იმ დრომდე, ვიდრე შტატი არ დამტკიცდება და სომხურ ენის მასწავლებელს ჯეროვან ჯამაგირს არ დაუნიშნავენ. თუ რომელიმე მშობელმა ამ ფულის გადახდა ვერ შესძლო, მაშინ დანარჩენები გავინაწილებთ და შემოვიტანთო.

◆ ტფ. ვაჟთა მეორე გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს დადგენილებით დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, რომ გიმნაზიაში **ადგილობრივ ენების მასწავლებელნი** პედაგოგთა შტატში ჩაირიცხნენ და შესაფერი ჯამაგირიც დაენიშნოთ.

◆ ორშაბათს ტფ. რკინის გზის სასწავლებლის მოწაფენი შეიყარნენ შენობის წინ და უნდოდათ სკოლაში **სწავლა შეეწყვეტნათ**, მაგრამ ვერ მოახერხეს. მოწაფეებმა შენობას რამდენიმე ქვა ესროლეს და დაიმალნენ.

◆ რამდენიმე მოსწავლე ქიათურაში ამას წინად იაფ-ფასიან რესტორანში შესულა. ამავე რესტორანში შესულა რამდენიმე კაზაკი, რომელთაც ღვინო მოუთხოვიათ და, რადგან თხოვნა არ შეუსრულებიათ, კაზაკებს და მოსწავლეებს ლაპარაკი მოსვლიათ. საქმე იმით გათავებულა, რომ **კაზაკებს მოსწავლეთათვის უცემიათ**. ამ გარემოებას მოსწავლეთა გაფიცვა გამოუწვევია. („ცნ. ფურც.“).

◆ ამ დღეებში სტავროპოლში ერთ მართლმადიდებელ ყმაწვილ ქალს **სომეხ-გრიგორიანის სარწმუნოება მიუღია**, ეს პირველი შემთხვევააო ამბობს „არშალუისი“, რომ 17 აპრილის უმაღლესი ბრძანების შემდეგ მართლმადიდებელს სომეხ-გრიგორიანობა მიეღოსო.

◆ ამას წინად სად. აღდაშთან, თათრები თავს დაეცნენ 56 მგზავრს. თათრებმა, განაცხადეს, ჩვენ უნდა გაგვეგო, სომხებს იარაღი ხომ არ მიაქვთო . თათართა ამ განცხადების შემდეგ სადგურ ევლახზე მგზავრთა ბარგსა სჩხრეკენ.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, ავლაბრის პროგიმნაზიაში **ამ დღეებში გაიხსნება მე-3 კლასი**. ამასთან, რადგანაც ახლანდელ შენობაში პროგიმნაზიის ყველა კლასები ვერა თავსდება, ერთ-ერთ მოსამზადებელ კლასს მეორე შენობაში გადაიტანენ.

◆ სიღნაღის მაზრის **პირველ დაწყებით სკოლებში სწავლა ჯერაც არ დაწყებულა**. ხალხი აცხადებს, სანამ სკოლაში ყველა საგნებს დედაენაზე არ ასწავლიან და თვით სწავლის საქმეც რიგიანად არ მოეწყობა, შვილებს არ გავგზავნითო. (ც ფ.).

◆ „ნოვ. ობ.“-ს **პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ**: დღეს, 9 ოქტომბერს, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კარის ეკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ქართველ პოეტის თავ. ნ. მ. ბარათაშვილის სულის მოსახსენებლად. წირვა და პანაშვიდი გადაიხადა ქართულ ენაზე მღ. გიორგაძემ, გალობდა ქართველთა გუნდი. წირვას დიდი ხალხი დაესწრო, წარმოთქმულ იქმნა სიტყვები.

◆ ს. შინდისიდან (გორის მაზრა) გვწერენ: ეგზეკუციის ჩაყენებით შეშინებულნი სოფლელნი ჯერაც ვერ გამორკვეულან. პოლიციის წინადადებას **აგიტატორთა და ასის თავთა გაცემაზე** ჯერ-ჯერობით არ ასრულებენ. ძალდატანებით ხელ-ახლა არჩეულ იქმნენ მამასახლისი და მწერალი, მაგრამ საჩივლელად მათთან არც ერთი გლეხი არ მიდის.

◆ ბაღდადის ნაწილში **კაზაკთა და ხალხს შორის შეტაკება მომხდარა**. მოკლულია 1 კაზაკი და 1 ურიადნიკი. ხალხიდან მოკლულია 11 კაცი.

◆ ქ. გროზნოში სათადარიგო ჯარის კაცებსა და **ჩეჩნებს შეტაკება მოსვლიათ**. მომკვდარა 1 კაზაკი და 2 ქვეითა ჯარის კაცი. ჩაჩნებიდან მოკლულია 15 კაცი.

◆ ხვალ, 13 ოქტომბერს, კავკასიის სამხედრო სასამართლო განიხილავს საქმეს სპარსეთის ქვეშევრდომის ავაქ არუშანოვისას, რომელსაც ხარფუხში მდგარ კაზაკთა ეზოში **ყუმბარის გადაგდება ჰბრალდება**.

◆ როგორც გუმბრიდან გვატყობინებენ, იქ **მოუკლავთ** ცნობილი **მემამულე ციტოხცევი** მეუღლითურთ.

◆ **ნამესტნიკის განკარგულებისამებრ, თერგის ოლქში** თითოეულ ათ კომლზე სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ერთი ამომრჩეველი უნდა იყოს.

◆ სართიჭალის ბოქაულმა გამოუცხადა ახლომახლო 9 სოფელს, რომ **მთავრობის განკარგულებით მათ მიეცემათ 72 ბერდანკა** ყაჩაღებისგან თავის დასაცველად.

◆ როგორც ვწერდით, 13 ოქტომბერს ღამით, ვიღაც უცნობმა ბებუთით **მოჰკლა აზნაური ვ. რევუცკი**. რევუცკი წინად სამსახურში იყო, ბოლო ხანს კი უსაქმოდ დაიარებოდა. ამბობენ, ამას წინად საიდუმლო პოლიციის აგენტად ჩაეწერა და ამან გამოიწვია მისი მოკვლაო.

◆ ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა მომავალ საგანგებო კრებაზე, რომელიც დანიშნულია 20 ნოემბრისთვის და რომელმაც, სხვათა შორის, უნდა აირჩიოს ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ნაცვლად თავ. ი. გ. ჭავჭავაძისა, ამ ბანკის ოცდახუთმა მსესხებელმა შემდეგი განცხადება წარადგინა: რუსეთის ყველა ბანკების წესდებით გამგეობის თავმჯდომარეს ირჩევენ თავის წრიდან გამგეობის წევრნი. ჩვენი ბანკის წესდების ძალით კი გამ-

ფელეტონი

კოდალა

—:—

არ ვიცი, გივლიათ თუ არა დიდს, უღრანს ტყეში?

შორიდან ხომ დაგინახიათ შავად დაბურული, დაფიქრებული? აბა, კარგად დააკვირდით... რას მოგაგონებთ იგი?

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, და მე კი მეტისმეტად დაღონებულს, დადარდიანებულ ადამიანს ემსგავსება, რომელიც ისეთ ყოფაშია ჩავარდნილი, რომ მუდამ წამს რაღაც საშიშროებას, მტრის თავდასხმას მოელის, მაგრამ სდგას შეუპოვრად, გულმაგრად და ადგილიდან ფეხს არ იცვლის... თითქოს კიდეც ლოცულობს, ღმერთს მფარველობას სთხოვს...

რა აშინებს, რა აღონებს, რადაა მწუხარე? ჰკითხეთ, რას გიპასუხებთ. აი, მისი პასუხი: მე ვარ მამა ერთის მთელის, განუყოფელის ოჯახისა, მე მყავს აუარებელი შვილები, ფრინველნი, თუ ცხოველნი. უკანასკნელი ბუზიც კი ჩემის გულმკერდით არის აღზრდილი, არ ვიტყვი ტურფა, რქა ბოჯოჯლა ირმის სიცოცხლეს, პირველის სიცოცხლეც შიშს ჰბადებს ჩემს გულში: ვაი, თუ მომიკლან, ვაი, თუ მოუსპონ სიცოცხლე. მგლის სიცოცხლეც კი, რომლის მოსპობასაც თქვენ, ადამიანნი, ესწრაფვით, გულს მიწყალავს. მახინჯი შვილია, მაგრამ ძლიერ მიყვარს და მებრალება. პატარა წკეპლაც რომ მოიჭრას, ისიც გულს მატკიებს. ჩემი ოჯახის წევრნი ზოგნი უდროოდროთ, იხოცებიან, ჰლექდებიან, ხდებიან და რამდენი კიდევ კაცის ხელით ისპობა!.. ბევრი მაქვს საფიქრებელი, ბევრი მაქვს სატირელი.

ხოლო დიდი, შავი კოდალა, ტყისავე შვილი, ამას როდი ჰფიქრობდა. კოდალა დღე გაჰკიოდა და მთელს ტყეს ახმაურებდა, ხოლო ღამ-ღამობით, ბუ ეწეოდა მის მაგიერობას. ეს ორი დარაჯი ჰყავს ტყეს: ერთი ღამისა, მეორე — დღისა...

დიაღ, კოდალა იმას არ ფიქრობდა, რასაც ტყე. მაშ რას ფიქრობდა? იმ დღეს დაუდეგრად დაფრინავდა. ერთი ფუტუროსაგან მეორისაკენ რომ გაემართებოდა, უთუოდ წინ კივილ-ჭყივილს მიიმძღვარებდა: „მოვდივარ და, აბა, კარგად გამიმასპინძლდიო!“...

ახლაც გამოათრია ერთი მსუქანი მოთეთრო ჭია. დიდად დახელოვნებული იყო ამ საქმეში: ღრმად უჯრიდა ნისკარტს, რაკი ზედაპირს აალიდა, მერე ადვილი იყო ფუტუროს ამოჩიჩქვნა და შიგ ნისკარტის ტრიალი. ნისკარტიც საკმაოდ მჭრელი ჰქონდა. დაძაბუნებული ხეები იმის ნისკარტით იყო მოჭვრეთილი, ადამიანს ნატყვიარები ეგონება, ზოგი ისე ძალიან იყო ამოღრუტნული, თითქოს ზარბაზნის ყუმბარა მოუხვედრებიათო.

ამიტომ, ბუ დიდი მადლობელი იყო კოდალისა და მუდამ, როცა კი სადმე ფუღუროში მჯდომარეს წააწყდებოდა, მადლობას უცხადებდა. მათი ერთად შეყრა ყოველთვის დღე ხდებოდა და ბუც შორიდან დაუწყებდა ლაპარაკს, მიესალმებოდა: „გაუმარჯოს კოდალას, ჩემს კეთილის მყოფელს, ჩემს ერთგულს მეგობარს! იცი, ძმობილო, რა მადლიერი ვარ შენი?! შენ ჩემთვის შრომობ, რა მოსვენებითა ვარ, რომ იცოდე. ძირს ფუტურო მიგია რბილად. ღმერთს გეფიცები, მამაჩემის სულის განათლებამ, ღმერთს მუდამ იმასა ვსთხოვ: იცოცხლო, გამარჯვებული გამყოფოს, საზრდო უხვად, მრავლად მოგცეს. ამ თავ-მკვდარმა, არ იქნა, ვერ შევიძელ, პატივი ვერაფრით გეცი. მაგრამ რა ვქნა ან კი: ჩიტების შიშით დღისით კარში ვერ გამოვსულვარ, ხომ იცი, როგორ უხათროდ, უნამუსოდ მექცევიან ეგ სვინიდის-გაწყვეტილები? დამეცემიან ჟივილხივილით, ზოგი უკანიდან, ზოგი წინიდან, გზას აღარ მაძლევენ, რომ პატარა მივდგე, მოვდგე, ვიშოვო რამე, შენი სიკეთეც გადავიხადო და თავადაც იოლად გამოვიდე. ღამე გამოვალ და რას ვიშოვი? განა არ იცი, ყველა სულდგმული მაშინ მიჩქმალულ-მიმალულია? ხელში ვინ ჩამივარდება? გაგიხარიან თუ მოვიგდე ხელში, იმათ ბდღვერს ვადენ... არამზადები!...

— ჩემი ამაგი შენზე ალალი იყოს... ბინას არ გიჭერ, იცხოვრე, მოისვენე, მხოლოდ ხარბად ჭიების ჭამას მოერიდე. ხომ იცი, მეწყინება.— ეუბნებოდა მას კოდალა ჩაგონებით.

— არა, ბატონო, მეცა ვფთხილობ და შენს წყენას ისე ვერიდები, როგორც ღვთისას... ღმერთი, მართლაც, ჩემზე ხელ-აღებული როდია: ხანდახან ჩემი მტანჯველთაგანი, ალალისა ან მიმინოსაგან დამფთხალი, მოატანს ხოლმე ჩემს ბინას და მაშინ უნდა ჰნახო იმისი წეწა-გლეჯა... მტანჯვ? მაწვალებ? დამცინი? ეგეც შენ, ნახე?... უსვინდისოები!..

— ბიჭოს, ეგ კარგია!.. ღმერთი ვისაც მისცემს, კომბლით უკან მისწევსო;—ეტყოდა კოდალა.

ბუს დალოცვისა კოდალას, ნამეტანად, ის ნაწილი მოეწონა, რომლითაც პირველი მას მრავლად საზრდოს მოპოვებას უქადიდა, რადგანაც მეტის-მეტად გაუმაძღარია. სულ დაწრწის, ტყეს დღეში ათასჯერ შემოუვლის, სჩიჩქნის ხეებს, ურახუნებს ნისკარტს, სჭამს, სჭამს განუწყვეტლად; ერთს წამს ნისკარტს არ დაასვენებს, ყბებს არ დაყენებს. ჰკუკავს ჭია-ღუებს, ჰსინჯავს ყველა შუა ხანს გადაცილებულს ხეებს—სიბერე შეპარა, თუ არაო. უნდა ჰნახოთ, როგორ უხარიან, თუ იმედი გაუმართლდა და ტყეში ახალი, დაფუტურებული ხე გაჩნდა. ახალი დაყანთრებული ხის გაჩენა, ახალი საზრდოს ცხოვრების წყაროს მომასწავებელია მისთვის.

ტყე ხომ გახსოვთ, რასა ჩივის და ტირის, როგორც კოდალას, ისე მის მსგავსის ათასი და ათი-ათასის დედა და აღმზრდელი?... კოდალა კი სულ სხვასა ფიქრობდა, სხვას ნატრობდა; იჯდა წაქცეულს ხმელს წიფელზე, ჩაჰკრავდა ნისკარტს და თანაც თავისთვის ბჭობდა:

„ნეტავ, სულ გადახმეს მთელი ტყე, ათას წილად ის აჯობებსო...

„უჰ, რა დროებას გავატარებდი!... ოჰ, როგორ ვიქეიფებდი!...

„სამოთხე მაშინ დამყარდებოდა ქვეყანაზე—ჭია-ღუებით აივსებოდა მთელი ეს არე-მარე და... იქეიფე ბიჭო!.. გაჰკარ და გამოჰკარ ნისკარტი დღე და ღამე.

„არა ბედნიერი ვიქნებოდი მაშინ!

„რა საჭიროა, ან კი, ხეებისთვის სინედლე?! რომელსაც შეჰხედავ, გაუდგამს ღრმად ფესვები, გადაუფარჩხია განზე ტოტები, იმოსებიან ფოთლით, ისხამენ ნაყოფს. ვის რად უნდა იმათი ნაყოფი? რაში მეპრიანება რკო და წიფელი, პანტა-პუნტა, კუნელი, ასკილი, ზღმარტლი, ჟოლო, მაყვალი, და, ვინ იცის, კიდევ, რა და რა არა!.. მე ჭიები მიყვარს, ჭიები, რომლებსაც მხოლოდ გამხმარი, დაყანთრებული, დაფუტურებული ხე ჰბადებს. რაში მარგია მაგათი ფოთლები! მარგია კი არა, ხელსაც მიშლის საზრდოს შოვნაში: ვეღარ დამინახია ხმელი ხე“.

ცოტა ხანს შემდეგ, დაფიქრდა, თავი მაღლა აიღო, ქარასხასავით ნისკარტი ცისკენ აიშვირა: მშვენიერი, დიდებული აზრი მომივიდა· „ვინატრო, ვეცადო, იქნება ნანატრი ამიხდეს?! ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია... დიდხანს აღარ გაჩერებულა ერთს ადგილას, ელდა ნაკრავივით წამოხტა, დაფეთიანებულივით დაფრინავდა ტყეში: მარჯვნივ თუ მარცხნივ, აღმა თუ დაღმა და ერთსა და იმავე გაიძახოდა: „ტყეო, გახმი და გამავდი“!

მთელი ტყის მცხოვრებნი ფეხზე დადგნენ. ფრინველები კბილებს აღრჭენდნენ, ცხოველები, ზოგნი პირიდან სიბრაზისაგან ქაფსა ჰყრიდნენ, სხვანი, როგორც, მაგალითად, შველები, ირმები არჩვები, კურდღლები, ამბობდნენ თავის ქნევით: „გაცეტებულა, გადარეულა საცოდავი, რა დაჰმართნია, რა ღმერთი გასწყრომიაო. ზოგს კოდალას ნატვრა სიცილად არ ჰყოფნიდა... სხვები აფურთხებდნენ... ტყე კი ტიროდა:—ააჰ, რა უბედური, რა უკეთური შვილი გამომივიდაო! მოსთქვამდა იგი,—არ გესმით, ხალხნო, რას ნატრობს? ვაი, ჩემი ბრალი, ვაი, მე უბედურს!..

მხოლოდ ქორს სხვა გვარად სწყენოდა და ამბობდა თურმე: „მაგისთანა მახინჯებს წყევლა-კრულვა და ფურთხი არ გასწვრთნის. მხოლოდ გაბრაზება რა ვაჟკაცობაა?! გაჰბრაზდე და ბრაზი გულშივე ჩაიკლა?! არა, ჩემს კარაბადინში ეგ არ სწერია. როცა მე ვბრაზობ, ვმოქმედობ კიდევაც. რად მინდა ბასრი კლანჭები და გაფხავებული ნისკარტი, თუ მაგისთანა ვერაგებს ვერ მოვაჭკვიანებ, ეგ თითონ წყეული და შეჩვენებული... ეგ ჩვენ ყველას სიცოცხლის მოსპობას გვიქადის... სიკვდილი კოდალას!...

— მეც მანდა ვარ. ყოჩაღ, ქორო, ყოჩაღ. ვენაცვალე მამაცს კაცს, მამაცს სიტყვას... ვენაცვალე ცხოველებში ვეფხვების ჯიშს და ფრინველებში ქორებისას!... მიჰყე, არ გაუშვა, შორს არ იქნება წარსული. ეუბნებოდა, ამხნევებდა ქორს დაბლიდან ვეფხვი... და ქორი, აღელვებულ-აღშფოთებული გამოუდგა კოდალას, რათა იგი დასაჯოს ღირსეულად; ქორი შურისძიებად არის გადაქცეული და თვალებიდან ცეცხლსა და ცოფს აფრქვევს.

ტყე კი ტირის, ცხარე ცრემლსა ჰღვრის.

ვაჟა-ფშაველა.

ცოტა რამ მუშათა კანონმდებლობის შესახებ

I

თუ გლადსტონს თავის დროს შეეძლო ეთქვა: მე-19 საუკუნე მუშათა საუკუნე იქნებაო, დღეს შესაძლოა ითქვის, რომ მეოცე საუკუნე მუშათა საუკუნეა. ყველასთვის ცხადია, რომ მუშათა მოძრაობა დიდის სისწრაფით იზრდება. მოძრაობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახეს იღებს, მაგრამ ამის გამო მიზნის ერთობა არა თუ არ იკარგება, არამედ უფრო ეტყობა, რომ უფრო ვრცელდება და სხვადასხვავდება ეს მოძრაობა. მართალია, მოძრაობის გარეგანი სხვადასხვაობა ხანდახან თვით მუშებში და მათ პარტიებში იწყებს ბრძოლას და ამითი მუშათა მოძრაობაში გარეგანი ერთობა ირღვევა. ზოგან თანდათან დაირღვა ან შესუსტდა ძველი ორგანიზაციები და მათ ადგილას ახალი ორგანიზაციები შეიქმნა. საფრანგეთში, მაგ., სრულიად შესუსტდა წმინდა მარქსისტების (გედისტების) პარტია, სრულიად გაჰქრა პოსსიბილისტების პარტია, თუმცა თვით პოსსიბილისტები და მათი მეთაური პოლ ბრუსი, — პარიზის საქალაქო გამგეობის თავმჯდომარე, დღესაც ცოცხალი არიან. გაჰქრა აგრეთვე წინედ არსებული ალლემანისტების (სოციალ-რევოლუციონერების) პარტია, და ამ პარტიის მეთაური ჟან ალლემანი დღეს თავის სტამბის გაფართოებაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე სოციალურ პროპაგანდაზე.

ძველი ორგანიზაციები დაირღვნენ და შესუსტდნენ, მაგრამ მათ ადგილას აღმოცენდნენ ახალი ორგანიზაციები და პარტიები, მაგ., საფრანგეთში ეგრედ წოდებული შრომის პარტია, რომელშიაც უკვე ამჟამად საფრანგეთის მთელ შეგნებულ პროლეტარიატის 16,5% იღებს მონაწილეობას, მაშინ როდესაც ყველა, ეგრედ წოდებული, სოციალისტური პარტიები შეიცავენ საფრანგეთის 0,5%. ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს, რომ პოლემიკა და ბრძოლა არ ასუსტებს მუშათა მოძრაობას საფრანგეთში. ზოგიერთებმა, განსაკუთრებით ზოგიერთმა გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა საფრანგეთის მუშათა მოძრაობაში რაღაც ,,კრიზისი‘‘ აღმოაჩინეს, მაგრამ, რომ დავუკვირდეთ იმ შინაგან პროცესს, რომელიც თვით მუშათა ორგანიზაციებში ხდება, ადვილად დავრწმუნდებით, რომ საფრანგეთის მუშათა მოძრაობაში მართლა თუ არსებობს რამე კრიზისი, ეს კრიზისი ზრდისა და განვითარების ნიშანია. ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ საფრანგეთის მუშებს არაოდეს არ ჰქონდათ ისეთი ძლიერი ორგანიზაციები, როგორიც არის ახლა „მუშათა პარტია“, ანუ ,,შრომის საერთო ფედერაცია“.

ეჭვი არ უნდა, რომ ის, რასაც ჟ. პ. პრუდონი მუშების სიმწიფეს ეძახდა, ამ ოცი წლის განმავლობაში ძალიან გაიზარდა და მომწიფდა. ამისდა შესაფერად იგი დღეს ისტორიულ პროცესსის ერთ-ერთ მოძრავ ელემენტად შეიქმნა, იგი სოციალურ ასპარეზზე გამოვიდა და მმართველ კლასებს წინ სრულწლოვან მოპირდაპირედ დაუდგა. ყველასათვის ცხადია, რომ ამ ფაქტს თანამედროვე სოციალურ ცხოვრებაში თავისი შედეგი მოჰყვა. მუშათა კლასის, როგორც პოლიტიკურ დამოუკიდებელ ერთეულის, ცხოვრებაში ჩარევამ, აიძულა მოპირდაპირე კლასსები თავისი უფლებები გაერკვიათ. კლასთა ურთიერთობის დამყარება შემთხვევაზე შეუძლებელი შეიქმნა. იგი იყო შესაძლებელი იმ დროს, როდესაც მმართველ კლასებს ენის შემბრუნებელი არავინ არ ჰყავდათ და როდესაც მათთვის ურთიერთობის შემთხვევაზე დამყარება სასარგებლო იყო. მაგრამ რაკი მუშათა კლასი გაიზარდა და მომწიფდა, ასეთი მდგომარეობა შეუძლებელი გახდა, ბურჟუაზიისთვის კლასთა ურთიერთობის გასარკვევათ, იურიდიული ნორმები საჭირო შეიქმნა და მანაც მუშათა კანონმდებლობას მიჰმართა.

მუშათა კანონმდებლობა ბურჟუაზიისათვის სა-

[illegible] ბიბლიოთეკა

გეობის თავმჯდომარეს ირჩევს საზოგადო კრება, მაშინ როდესაც, იმავე წესდების ძალით, ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარეს ირჩევენ თავის წრიდან კომიტეტის წევრები. ამას გარდა მიმდინარე წლის ბანკის რწმუნებულთა კრებამ წესდებაში შეიტანა: დამფასებელმა კომისიამ თავმჯდომარე თავის წრიდან აირჩიოსო. გამგეობის თავმჯდომარის საზოგადო კრების მიერ არჩევას ჩვენ ბანკისთვის საზარალოდა ვსთვლით, ამიტომ გთხოვთ თავმჯდომარის არჩევნები გადასდოთ ბანკის წესდების ეს მუხლი შესცვალოთ და თავმჯდომარის არჩევის უფლება გამგეობის წევრთ მიანიჭოთო.

◆ ხვალ, 13 ოქტომბერს, ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში კრება ექმნებათ **ტფილისის მდაბიო მოქალაქეებს.** კრება, სხვათა შორის, განიხილავს საკითხს მდაბიო მოქალაქეთათვის სასწავლებლის დაარსების შესახებ. პროექტით, სასწავლებელს, ყოველ წლიურად 5,000 მანეთი ხარჯი მოუნდება, რაც განაწილდება მდაბიო მოქალაქეთა შორის.

◆ პეტერბურგიდან ჩამოსული კონტროლიორი ვინოგრადოვი სასულიერო სემინარიის ახალ შენობის საქმეებსაც განიხილავს, რადგანაც სინოდის ნებადაურთველად რექტორად ნამყოფ ნიკანდრს 4 ათასი თუმანი დაუხარჯავს, ხარჯთ აღრიცხვის გარეშე.

◆ **მცხეთის სამთავრო დედათა მონასტრის სკოლა დაიკეტა.**

◆ ქართლ-კახეთის სასინოდო კონტორაში კიდევ 5 ათასი მანათი აღმოჩნდა გაფლანგული. ეს ფული ნ. ქ. პეტროვისას შეუწირავს ბოდბისა, თეკლათისა და ჯანაიტის მონასტრებისათვის.

◆ ამ რამდენიმე თვის წინად აღძრული შუამდგომლობა ქართულ ენის სწავლების შესახებ კუკიის სასაფლაოს სკოლაში არც შეიწყნარა არც საეპარქიო საბჭომ და არც სასაფლაოს მზრუნველმა კომიტეტმა.

◆ 11 ოქტომბერს, დიდუბის საჯირითოზე ობსერვატორიის დირექტორ ბ. გლასოვის ხელმძღვანელობით მოახდინეს **ჰავის ვითარების გამოკვლევა,** რის გამო აუშვეს 4 პრიბორი თვითმწერავათურთ. ასეთი გამოკვლევანი შემდეგში სისტემატიურად მოხდება.

◆ ამ წელს ქალაქს 900 ათასი მანათი ზარალი მოსვლია.

◆ ავჭალის გამასწორებელ კალონიის მუშებმა იჩივლეს სამმართველოში ი. მაღალაშვილზე, იმის გამო, რომ მათ არ მიუღიათ რამდენიმე თვის ჯამაგირი, რომელიც უდრის 710 მანათს.

◆ სოფ. სადმელში (რაჭა) დაარსდა საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილება.

◆ ორშაბათს, 10 ოქტომბერს, წყნეთის ქუჩაზე პეტარდა ისროლეს. დაშავდა ერთი კონდუქტორი.

◆ დიდიხანია თათრის მოედნის სახლის პატრონნი შუამდგომლობენ, რომ საროსკიპო სახლები სადმე ქალაქის ნაპირას გადაიტანონ. მაგრამ ვერა გაწყეს რა. ამჟამად ტფ. პოლიცმეისტერმა ღ. ა. ცისმა დაათვალიერა ეს ადგილი, ნახა რომ ხსენებული სახლები და ახლო-მახლო აგებული სასმელის დუქნები გარყვნილების ბუდეს წარმოადგენენ და საჭიროდ სცნო ეს სახლები საპოლიციო 1 ნაწილში ქალაქის ნაპირას გადაიტანოს.

◆ სამსახურს საბოლოოდ თავი დაანებეს ქალაქის შემდეგმა ხმოსნებმა: მ. ზ. ავთანდილოვმა, ი. ს. ალიხანოვმა, ი. ი. ამირხანოვმა, ა. მ. არგუტინსკიმ, ნ. ე. არგუტინსკიმ, ა. ს. ბაბოვმა, ა. ს. ბაგდასაროვ-ბუდაღოვმა; ი. ა. ბარათაშვილმა, ი. მ. ბებუთოვმა, ა. ი. ვართანოვმა, ს. ი. ვაჩნაძემ, ი. ი. ვესელოვზოროვმა, ა. ს. ღულაძემ, ა. მ. ჯაბადარმა, ი. მ. დოლუხანოვმა, ა. ბ. ევანგულოვმა, ლ. გ. ევანგულოვმა, ა. ი. კაზაკოვმა, ნ. მ. ქარუმიძემ, მ. კ. ყიფიანმა, გ. გ. კარაგოსოვმა, ს. ღ. ლისიციანცმა, გ. პ. მელიქ-კარაკოსოვმა ყ ს. მიქელაძემ, ს. ზ. მირზოევმა, ა. ს. ფირალოვმა, ა. ნ. ფურცელაძემ, მ. ი. სბეშნიკოვმა გ. ზ. თამამშევმა, ნ. ი. თამამშევმა, ი. თ. ტიგრანოვმა, ლ. ფ. ტიგრანოვმა, ტ. ა. ფეთელოვმა, ა. ა. ი. ფლორინსკიმ, ე. ი. ხატისოვმა. ი. მ. ხრამელოვმა, ნ. ი. ხუდადოვმა. ა. ზ. ჩოლაყაშვილმა, ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა. ს. ფ. ქრელაშვილმა, მ. გ. შახბუდაგოვმა და ბ. ს. ესაძემ. სამსახურიდან გადადგომა არ ისურვეს: ა. ი. ბებუთოვმა, ვ. ლ. სარაჯევმა, მ. ა. გრიქუროვმა და მ. ა. სოსინმა.

◆ მეშვიდე საპოლიციო უბანში, კაბიერის ქუჩაზე, დასჭრეს ი. ეგიევი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისის ლიბერალები. ინგლისის ეროვნულ-ლიბერალებს ფედერაციის. პრეზიდენტმა ცირკულიარი დაუგზავნა ადგილობრივ ასოციაციებს და ურჩია, საზოგადო არჩევნებისთვის მოემზადეთო. პრეზიდენტმა საარჩევნო პლატფორმაც დაასახელა. ინგლისის ლიბერალები მოითხოვენ: ვაჭრობის თავისუფლებას, სახელმწიფო ხარჯის შემცირებას, სასკოლო კანონმდებლობისა და მაგარ სასმელების გაყიდვის შესახებ არსებულ კანონების გადათვალიერებას, მუშათა კავშირების შესახებ არსებულ კანონების გადასინჯვას და სხ. კონსერვატიული პრესსა ერთხმად აღნიშნავს ლიბერალთა პროგრამის უფერულობას. ამ პროგრამაში არც ერთი რადიკალური მუხლი არ არის: არც ირლანდიის ჰომრული (ავტონომია) და არც ეკლესიის განცალკევება სახელმწიფოსაგან.

ოსმალეთი. ოსმალეთის მთავრობამ მესამედ უარჰყო ევროპის დიდ სახელმწიფოთა მოთხოვნილება შესახებ იმისა, რომ მაკედონიის ფინანსებს ევროპამ უნდა გაუწიოს კონტროლიო. სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, დანამდვილებით ამბობდნენ, რომ ოსმალეთი ევროპიელებს დაუთმობსო, მაგრამ უცებ აღმოჩნდა, რომ ოსმალეთი მაგრა სდგას და დათმობას სულაც არ აპირობს. ოსმალეთი გერმანიაზეა დაბჯენილი და იმედი აქვს, რომ გერმანია სხვა სახელმწიფოებს მასზე ძალის ხმარების ნებას არ მისცემს. გერმანიის ელჩმა ოსმალეთის სულთანს ჩააგონა, რომ ევროპა მასზე ძალის ხმარებას არ აპირობს, და თუ იხმარა, არა უშავს-რაო, ხელადვე დაუთმობთ და საქმეც მაგით გათავდებაო.

ლიბერალ დეპუტატის გამარჯვება ინგლისში. ამას წინად გარდაიცვალა ინგლისის პარლამენტის წევრი კონსერვატორი, რომელიც იორკშარის ოლქის დეპუტატად იყო. ამის გამო ზემოხსენებულ ოლქში ხელმეორედ დანიშნეს არჩევნები ახალი დეპუტატის ასარჩევად. კანდიდატები დაასახელა ორმა პარტიამ: ლიბერალებმა და კონსერვატორებმა. ეს ოლქი მუდმივ კონსერვატორ დეპუტატს გზავნიდა ხოლმე პარლამენტში, მაგრამ ახლა პირი იბრუნა, კონსერვატორი გააშავა და დეპუტატად ლიბერალი აირჩია. ლიბერალების ამ გამარჯვებას ინგლისში დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა მერვე მორიგი კრება

30 სექტემბერს პირველი სიტყვა ბ-ნს ზდანოვიჩს ხვდა. მან აღნიშნა: სიმართლეს მოკლებულია სარევიზიო კომისიის შენიშვნა შესახებ იმისა, თითქოს საბჭოს არ ჰქონდეს ჭიათურის მუშების უბედურ შემთხვევების ოქმები—ყოველი შემთხვევის ოქმი გვაქვსო.

ა. გამრეკელოვმა წინადადება მისცა კრებას, რადგან უბედურ შემთხვევების დროს დაშავებულ მუშების დაჯილდოვება დიდ ფულს მოითხოვს, ამისათვის საჭიროა შუამდგომლობა აღიძრას სამინისტროს წინაშე შესახებ იმისა, რომ ნება მოგვეცეს ამ კრებაზე მსჯელობა ვიქონიოთ საფუთო გადასახადის მომატების შესახებო.

კრებამ ერთხმად დაადგინა, ტელეგრამით იშუამდგომლოს სამინისტროს წინაშე, რომ კრების პროგრამაში შეტანილ იქმნეს საკითხი საფუთო გადასახადის მომატების შესახებ.

გ. ფ. ზდანოვიჩი შეეხო სარევიზიო კომისიის დასკვნის მე-18 მუხლს, სადაც კომისია წინდაუხედაობას უკიჟინებს საბჭოს, საავადმყოფოს აშენების დროს: შემდეგ კომისია აღნიშნავს ზოგიერთ ოთახის სივიწროვეს, შიგნითა კედლების ნამეტან სისქეს,—რაც მეტს ხარჯს გამოიწვევდა; კარები ან უადგილო ადგილზეა გაკეთებული, ან სულ მეტია, ან კიდევ ისეთი ვიწროა, რომ, თუ ორივე კარი ერთად არ გაიღო, შიგ შესვლა კაცს არ შეუძლიაო, და სხ. ბ-ნი ზდანოვიჩი ამტკიცებს, საავადმყოფო 20 ავადმყოფისთვის კი არა, 30-სთვის არის ნაანგარიშევი; გარდა ამისა, საავადმყოფოში არის კიდევ განყოფილება გადამდებ სენით ავადმყოფებისთვის, სულ 10 საწოლი; ასე რომ—ამჟამად საავადმყოფოში 40 კაცის საწოლი გვაქვს; გარდა ამისა, საავადმყოფო პავილიონისებურადაა გაკეთებული და, თუ საჭიროება მოითხოვს, შეიძლება ზემოდ მეორე პავილიონიც დაედგას. რაც შეეხება საცხოვრებელ ადგილებთან ზოგიერთ საჭირო შენობის აგებას, ესენი, მართალია, რევიზიის დროს არ იყო აგებული, მაგრამ ეხლა კი მიღებულია ზომები მათ ასაგებადო.

გ. ს. მოდებაძემ შენიშნა, საცხოვრებელი ადგილები მეტად ნოტიოაო.

ი. ბ. ნიჟარაძემ განაცხადა, ნოტიო შეიძლება იყოს მხოლოდ შუქრუთის შენობა, მაგრამ იქაც კი საკმაოდ მოითხარეს მიწა ხუთიოდე ხარქის სიმაღლეზე და შენობაც ნოტიო აღარ იქნებაო.

გ. ს. მოდებაძემ აღნიშნა: მუშების საცხოვრებელ შენობების აგების დროს მხედველობაში არ მიუღიათ სამთო-სამდნო საკრებულოს სავალდებულო დადგენილებანი: კარები შიგნით იღება, ოთახს არა აქვს ჰაერის სამუშავებელი, ოთახებში ჰაერის რაოდენობა არა ჰყოფნის მუშების რაოდენობას, არაა ტანისამოსის საშრობი ოთახები და სხვა საჭირო შენობებიო.

კრებამ ერთხმად დაადგინა: დაევალოს საბჭოს, რომ მიიღოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სამთო-სამდნო საკრებულოს სავალდებულო დადგენილებანი და თანახმად ამ დადგენილებათა შესწოროს მუშების სადგომები და მიიღოს ზომები, ამ სადგომებში სინესტის მოსასპობად.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ჭიათურისა და სხვა გზების კეთებამ.

კრებამ დაავალა საბჭოს, ახალი გზების გაყვანას მხოლოდ მაშინ შეუდგეს, როდესაც იმ ადგილების პატრონებთან, სადაც გზამ უნდა გაიაროს, უფულოდ ფორმალურ შეთანხმებას გაათავებს; გარდა ამისა ნება დართო მას, თუ საჭიროება მოითხოვს, აღძრას შუამდგომლობა გზებისთვის საჭირო ადგილების ექსპროპრიაციის შესახებ.

აღიძრა კითხვა საბჭოსთვის „ნაკაზის“ შემუშავების შესახებ.

გ. ფ. ზდანოვიჩი სთხოვს კრებას, რამე რჩევა მისცეს საბჭოს, რომლითაც მან უნდა იხელმძღვანელოს „ნაკაზის“ შემუშავების დროსო.

გ. ს. მოდებაძე განაცხადებს, ვერავითარი „ნაკაზი“ ვერ უშველის საქმეს, სანამ საბჭო ქუთაისში იქნება. მაგრამ იმედი გვაქვს შემდეგისათვის საბჭოში ისეთი პირები მოხვდებიან, რომელნიც მუდამ ჭიათურაში იცხოვრებენ და ადგილად შეასრულებენ კრების მინდობილებასო.

ი. გ. ბედიაშვილი და გ. მ. გურიელი თხოულობენ გადაწყდეს კითხვა შესახებ იმისა, თუ სად უნდა იმყოფებოდეს მრეწველთა საბჭო, ქუთაისში, თუ ჭიათურაში.

თავმჯდომარე მოახსენებს კრებას, ეს კითხვა ერთ-ერთს წარსულ კრებაზე უკვე იყო გადაწყვეტილი და ამიტომ ეხლა მეტად მიმაჩნია მის შესახებ კამათიო.

ო. ბ. სვანიძე საჭიროდ ხედავს შემცირდეს საბჭოს წევრთა რიცხვი 5-დან 3-მდე, დაენიშნოთ მათ წლიური ჯამაგირი და მიეცეს საბჭოს აღმასრულებელ ორგანოს ხასიათი.

კრებამ ერთხმად დაადგინა: მიენდოს საბჭოს შეიმუშაოს მომავალ კრებისათვის „ნაკაზი“, რისთვისაც უნდა იხელმძღვანელოს კრების დებულების ჩვენებით.

შემდეგ კრებამ, მიიღო რა მხედველობაში განსვენებულის ა. თ. ნანეიშვილის მოღვაწეობა, ერთხმად დაადგინა: მიეცეს განსვენებულის მეუღლეს ერთდროული შემწეობა, შვილს კი დაენიშნოს სტიპენდია. როგორც შემწეობის, ისე სტიპენდიის რაოდენობის შესახებ კრებას ექმნება მსჯელობა საგარაუდო შემოსავალ-გასავლის განხილვის დროს.

ბ-ნმა ბედიაშვილმა აღძრა კითხვა ფულის შენახვის შესახებ. წესდების ძალით, კრების ფული უნდა ინახებოდეს ან ხაზინაში, ან უმახლობელეს სახელმწიფო ბანკის განყოფილებაშიო. გ. ფ. ზდანოვიჩმა: უპასუხა: „თუ ბ-ნ ბედიაშვილს ხაზინის ინტერესების დამცველის როლი უკისრია, ეგ სულ სხვა საქმეა, თორემ როგორ შეიძლება კერძო საკრედიტო დაწესებულებაში ფულის შენახვის წინააღმდეგი გახდეს კაცი; ამას ჩვენივე ინტერესი მოითხოვს, რადგან აქედან კარგი სარგებელი შემოგვდის, და ამისათვის საყვედურის თქმა უსაფუძვლო იქნებაო.

კრებამ ერთხმად დაადგინა: ნება მიეცეს საბჭოს შეინახოს კრების ფული კერძო საკრედიტო დაწესებულებაშიაც.

დიდხანს ილაპარაკა გ. ს. მოდებაძემ, რომელიც შეეხო საბჭოს ორი წლის მოქმედებას [illegible] მისი უმთავრესი ნაკლოვანებანი.

ი. გ. ახაშიძემ აღნიშნა: საქმეს თუ კაცი სერიოზულად და ყურადღებით ჩაუკვირდება, უსათუოდ დარწმუნდება, რომ ჩვენი შუამდგომლობების დაუკმაყოფილებლობის უმთავრესი მიზეზია ეხლანდელი ბიუროკრატიული წესწყობილება, რომელიც ხალხის ყოველი სასიკეთო საქმის მტერიაო. ტარიფის დაკლების შესახებ, მაგალითად, მშვენიერი, დასაბუთებული შუამდგომლობა იყო გაგზავნილი, მაგრამ ვიდრე ჰსფედლისა და ნარიშკინის წყალობით შუამდგომლობა უყურადღებოდ დატოვეს. ვსთქვათ, ბ-ნა ზდანოვიჩმა ვერ შესძლო შუამდგომლობის საჭიროდ დასაბუთება, მაგრამ ამ კითხვის გადაწყვეტაში ხომ ოპოზიციის ლიდერი ბ-ნი ემერიკი და ფოთის ქალაქის მოურავი ბ-ნი ნიკოლაძეც იღებდნენ მონაწილეობას! თუ პირველმა ვერაფერი შესძლო, უკანასკნელთ მაინც რატომ ვერაფერი გააკეთესო?

ხანგრძლივ ილაპარაკა ბ-ნმა ზდანოვიჩმა, რომელმაც დაამტკიცა ბ-ნ მოდებაძის საყვედურების უსაფუძვლობა.

„ბ-ნთ ახაშიძისა და ზდანოვიჩის აზრით, ყველაფერში თანამედროვე ბიუროკრატიული წესწყობილებაა დამნაშავე; ჩემის აზრით კი ჩვენს საბჭოზე უფრო ბიუროკრატიული დაწესებულება მთელს დედამიწაზედაც არ მოიპოვება“,—სთქვა ბ-ნმა მოდებაძემ. ამით გათავდა საბჭოს მოქმედების ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

3 ოქტომბრის კრებაზე თავმჯდომარის წინადადებით კრებას მოახსენეს სამწუხარო პასუხი სამთო დეპარტამენტისა, რომელიც აუწყებს კრებას, რომ სამინისტროს არ შეუწყნარებია კრების სამართლიანი თხოვნა შესახებ იმისა, რომ თავის საქმეებზე იმ ენაზე ჰქონოდა მსჯელობა, რომელიც მას გაეგებოდა. ამ დეპეშამ ძლიერ აღაშფოთა საზოგადოება. ი. ბ. კაკაბაძემ ითხოვა, ახლა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე აღიძრას შუამდგომლობაო.

თავმჯდომარემ, რომელიც, ეტყობოდა არ თანაუგრძნობდა კრების ასეთ თავხედობას, განაცხადა, ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობის აღძვრის დროს დეპეშაში ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ სამინისტრომ ჩვენი შუამდგომლობა არ შეიწყნარაო.

ი. გ. ახაშიძე. მეტად სამწუხაროა... კრებას არ შეუძლია თავისი სინანული არ განაცხადოს მინისტრის ასეთ განკარგულების გამო.

თავმჯდომარემ მკაცრად განაცხადა, ამ კითხვის შესახებ ვსპობ კამათსაო.

გ. ფ. ზდანოვიჩი სთხოვს მას ორიოდე სიტყვის თქმის ნებას.

თავმჯდომარე. ნებას არ გაძლევ.

გ. ფ. ზდანოვიჩი. გთხოვთ შეტანილ იქმნეს ოქმში, რომ მე მსურდა დეპეშის შესახებ ორიოდე სიტყვა მეთქვა, მაგრამ თავმჯდომარემ ნება არ მომცა, თუმცა მან არ იცოდა ჩემი განცხადების ხასიათი.

თავმჯდომარის წინადადებით კრება შეუდგა პროგრამის მეოთხე მუხლის განხილვას, რომელიც შეეხება გეგმის გადამღებ ბიუროს ორგანიზაციას.

გ. ფ. ზდანოვიჩი იმ აზრისა იყო, რომ ბიუროს ორგანიზაცია დიდს ხარჯს გამოიწვევს, რაც საბჭოს არ შეუძლია; ამისათვის ეს ხარჯი თვითონ მრეწველებმა უნდა იკისრონო.

ქირო გახდა თავის და თავის სიმდიდრის ან უპირატესობის დასაცველად. მართლაც, დრო შეიცვალა,—ბურჟუაზიამ თავისი მდგომარეობის შეგნება კარგად იცის. იყო დრო, როდესაც იგი ებრძოდა მუშათა კანონმდებლობის შემოღებას, მისგან თავს იცავდა, დღეს კი ის პირიქით ამითივე იცავს თავს მუშა კლასის „ზედმეტ“ მოთხოვნისაგან.

კაპიტალისტებს თვით წარმოების ინტერესიც აიძულებს—შემოიღონ იურიდიული ნორმები, ორივე მხრისათვის, — მუშებისა და კაპიტალისტებისთვის, — სავალდებულო, რომ ამგვარად უფრო იშვიათი შეიქმნეს მუშებსა და კაპიტალისტებში შეტაკება და განხეთქილება, ვინაიდან ყოველი ასეთი განხეთქილება არღვევს წარმოების თანდათანობას და კაპიტალისტისათვის მეტად საზარალოა. ბურჟუაზია ცდილობს რამე ნაირად შეამციროს რიცხვი იმ მიზეზებისა, რომლებიც იწვევენ განხეთქილებას მუშებსა და მეპატრონეებში. ამ ცდის პრაქტიკული შედეგი იყო ეგრედ წოდებულ მუშათა კანონმდებლობის შემოღება. ამგვარი კანონების შემოღება ჯერჯერობით ახალი საქმეა, მაგრამ მათი რიცხვი ისეთის სისწრაფით იზრდება, იმდენ პროექტებს ჰქმნის, იმდენ ახალ კანონის გამოცემას ითხოვს რომ ერთმა გამოჩენილმა იურისტმა ჩვენ საუკუნეს „საკანონმდებლო შეშლილობის“ ხანა უწოდა.

ჩვენ გვგონია, რომ ეს იურისტი და ზოგიერთი თანამედროვე მწერალი ნამეტან განყენებულად უყურებენ სოციალურ კანონთა რიცხვის ზრდას და ამიტომ არიან გაკვირებულნი. საქმე ის არის, რომ ამ კანონთა რიცხვის ზრდა თანამედროვე ეკონომიურ ურთიერთობის პირდაპირი შედეგი არის. საჭიროა ამის შეგნება და მაშინ ჩვენი საუკუნე „საკანონმდებლო შეშლილობის“ საუკუნედ აღარავის არ მოეჩვენება.

კლასთა ბრძოლას საშინლად ამწვავებს წარმოების ნიადაგზე მეპატრონეთა განუწყვეტელი შეტაკება მუშებთან,—კლასთა ბრძოლა ამ შეტაკებას უფრო ხშირად ჰყოფს, კლასსიურ შეგნების განვითარებას ხელს უწყობს და მიზეზად უხდება შეტაკება ინტერესების ნიადაგზე. კლასიურად განვითარებული მუშა, რასაკვირველია, უფრო ხშირად, უფრო მეტის სიფიცხით და გაბედულობით გამოდის ბრძოლის ველზე უფლებათა დასაცველად, ან მოსაპოვებლად. ეს ბრძოლა სტიქიური ხდება და აუცილებელი. მისი მოსპობა ან გადაფუჩეჩება არ შეიძლება. შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობების გარკვევა, რომელშიაც უნდა ხდებოდეს ბრძოლა და იმ პირობათა შემუშავება, რომლის ძალით შესაძლო ხდება მორიგება, თუ ორივე მოპირდაპირემ ერთმანეთს დაუთმეს. ბურჟუაზიაც ასე იქცევა. იგი იწყებს კანონმდებლობას, რომლის მიზანია მონახვა იმ ნიადაგისა, რომელზედაც შესაძლო იქნება მუშა—პატრონის დროებით შეთანხმება მაინც განსაკუთრებულ იურიდიულ ნორმების და სავალდებულო კანონების გამოცემით. სრული შერიგების მოხდენა შეუძლებელია, სანამ არსებობენ ის მიზეზები, რომელნიც კლასთა ბრძოლას იწვევენ თანამედროვე საზოგადოებაში, აშენებულში კერძო საკუთრებაზე. მაგრამ ბურჟუაზია მოკლე დროის შეთანხმებაც ყაბულობს, რადგან მას ეს დროებითი შეთანხმებაც სარგებლობას მიუტანს. ბურჟუაზიის ასეთი მოქმედება მსხვილი წარმოების განვითარებისათვის ერთი აუცილებელი პირობა არის, და, მართლაც, ვისაც ცოტად თუ ბევრად შეუსწავლია ევროპის ეკონომიური განვითარება, იმან იცის, რომ მუშათა კანონმდებლობის ზრდასთან ერთად ყველგან მსხვილი წარმოებაც იზრდება. ამიტომ სრული უფლება გვაქვს, მუშათა კანონმდებლობას შევხედოთ, როგორც თანამედროვე კაპიტალიზმის ერთ დამახასიათებელს, გარეგან ნიშანს. მუშათა კანონმდებლობა არა თუ არ უშლის კაპიტალიზმის განვითარებას, პირიქით, ჩვენ დროში იგი აუცილებელი პირობაა კაპიტალიზმის განვითარებისთვის. ინგლისი ამის საუკეთესო მაგალითია,—ეს ქვეყანა კაპიტალიზმის კლასსიური ქვეყანა არის, იქ სხვა ქვეყნებზე უფრო ადრე გაჩნდა და განვითარდა კაპიტალიზმი, და სწორედ ამიტომ იქ სხვებზე ადრე ადგილობრივმა დემოკრატიამ დაიწყო მუშათა კანონმდებლობის შემუშავება.

დიდი მადლობელი ვიქმნები მკითხველისა, თუ არ დამწამებს სურვილს ამ ჩემ წერილში ფარულად, „კონდრაბანდათ“ გავატარო ისტორიული მატერიალიზმი *). მე აქ მხოლოდ ერთ ფაქტს აღვნიშნავ, ერთ მოვლენას, რომელიც ცხადად ჩანს კაპიტალიზმის ისტორიაში. ეს ფაქტი ის არის, რომ მსხვილ კაპიტალიზმის განვითარება მუშათა კანონმდებლობის განვითარებასთან მჭიდროდ არის შეკავშირებული, აქედან კი ის დასკვნა გამოდის, რომ მათ შორის რაღაცა მიზეზობითი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს. ამ ბოლო დროს ეს აზრი რუსეთის მრეწველებმაც შეიგნეს, როგორც სჩანს იმ მოხსენებიდან, რომელიც მათ წარუდგინეს ფინანსთა მინისტრს,—ბ. კოკოვცევს,—თვითონ მინისტრიც ამას კარგად გრძნობს, ამ წლის მაისში, ცნობილ სხდომაზე მან, სხვათა შორის, სთქვა, რომ წარმოების განვითარებისათვის საჭიროა სიწყნარე, სიმშვიდე და თანდათანი, დაწყობილი მუშაობაო. ეს სიმშვიდე კი დამყარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მუშებისა და პატრონების დამოკიდებულებას კანონი გაარკვევს“, დასძენს მინისტრი. დამყარდება თუ არა ამითი სიმშვიდე,—ამის გარკვევას აქ არ შევუდგებით, ხოლო როდესაც მინისტრი მუშათა კანონმდებლობას სასარგებლოდ აღიარებს რუსეთის ბურჟუაზიისათვის.—ამაში იგი მართალი არის. მართლაც და, მრეწველობის განვითარებისათვის თუ უმთავრესი პირობა არის წარმოების თანდათანობა და მეორეს მხრივ ამისი განხორციელება შეუძლებელია, სანამ არ შემუშავდება ისეთი იურიდიული ნორმები, რომელნიც ორივე მხრისათვის სავალდებულონი იქმნებიან,—ცხადია, ბურჟუაზია ეცდება, სწორედ ამ სავალდებულო იურიდიულ ნორმებზე დაამყაროს თავისი ურთიერთობა მუშებთან, ე. ი. ეცდება შეჰქმნას მუშათა კანონმდებლობა, რომელიც ბოლოს და ბოლოს მათთვის სასარგებლო სავალდებულო ნორმების კრებულია.

ამისი დასკვნა ცხადია.—მუშათა კანონმდებლობა სარევოლუციო ზომა არ არის, იგი მხოლოდ დემოკრატიული მოვლენა არის. დემოკრატია არ ებრძვის კაპიტალიზმის განვითარებასა და გაძლიერებას,—პირიქით, იგი კაპიტალისტობის ერთ-ერთი საუკეთესო პოლიტიკური ფორმაა. მუშათა კანონმდებლობა ხელუხლებლად სტოვებს კაპიტალისტურ გაყვლეფას და ცდილობს მხოლოდ იგი გარკვეულ კალაპოტში ჩააგდოს.

ამ მხრივ თუ შევხედეთ მუშათა კანონმდებლობას, ჩვენთვის მაშინ ადვილი ასახსნელი იქმნება ის გარემოება, რომ ამ ბოლო ხანებში ბურჟუაზია ასეთის ყურადღებით ექცევა მუშათა კანონმდებლობის განვითარებას,—ხოლო ის ფაქტი, რომ მოწინავე ბურჟუაზია ამ კანონმდებლობას დიდ ყურადღებას აქცევს, ყოველ ეჭვს გარეშეა. მართლაც ახლა, ყოველ წლიურად იმართება ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონგრესები, რომელთაც მიზნად აქვთ სხვადასხვა სოციალურ კანონთა შემუშავება თუ შემოღება. ამ ენკენისთვეში, მაგ., ვენაში გაიმართა კონგრესი, რომელსაც უნდა გამოერკვია, თუ რა ზომებით არის შესაძლო მუშაობის დროს დაშავებულთა რიცხვის შემცირება და როგორ უნდა დაჯილდოვდეს ის, ვისაც მარცხი მოუვა, მათ უნდათ „მუშათა კეთილდღეობის“ დაცვა. ამ კონგრესში მონაწილეობას იღებდა ზოგიერთი სოციალისტი, მაგრამ უმეტესი ნაწილი „მოწინავე ბურჟუაზიის“ წარმომადგენლები იყვნენ. ჩვენ არა გვგონია, რომ ბურჟუაზიის ასეთ ქცევას სარჩულად ჰქონდეს მისი გულკეთილობა და ვფიქრობთ, რომ მას ამოქმედებს უფრო თავის საკუთარ ინტერესების დაცვის სურვილი.

იმ რეფორმათა შორის, რომელთა განხორციელებაზე ამ ბოლო დროს დიდი ყურადღებაა მიქცეული, ჩვენ მხოლოდ სამ რეფორმას შევეხებით. პირველად ჩვენ მოკლედ გავარჩევთ იმ კანონებს, რომელთაც აზრად აქვს მუშების დაცვა დაშავების დროს, რომ შემდეგ უფრო ვრცლად მოვილაპარაკოთ 8 საათის სამუშაო დღეზე და საკვირაო დასვენების შემოღებაზე.

ყველამ იცის, რომ მუშა ცოცხალი ადამიანი, ტეხნიკის განვითარებამ მანქანის დამატებად გახადა. მუშაობის დროს იგი მეტის მეტად ბეჯითი უნდა იყოს, რადგან ყოველ შეცდომას, ფეხის ან ხელის ყოველივე უდროვო განძრევას, შეიძლება, მარცხი, დაშავება მოჰყვეს,—დაშავება კი მუშას თავის რჩენის ერთად-ერთ სახსარს ართმევს,—სამუშაო ქირას უსპობს. მარცხის შესახებ თანამედროვე კანონმდებლობის მიზანიც ის არის, რომ დაშავებული მუშა იხსნას სიკვდილისაგან. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მნიშვნელობას აძლევენ თვით მუშები ამ საქმეს, რამდენი ძალა და ენერგია დახარჯეს, სანამ აქ რამე უფლებებს მოიპოვებდნენ.

ავსტრიაში 1887 წლამდის არავითარი საამისო კანონი არ არსებობდა და მუშა მუშაობის, ან როგორც ამბობენ, „თავის მოვალეობის ასრულების დროს“ თუ დაშავდებოდა, ხელს, ან ფეხს მოიტეხდა, თუ მოიჭრიდა, დაბრმავდებოდა, ერთის სიტყვით ამა თუ იმ შემთხვევის გამო თუ დაკარგავდა მუშაობის და თავისთვის ან ოჯახისთვის ლუკმა პურის მოპოვების შეძლებას,—თავის თავის სიმშილით სიკვდილისაგან გადასარჩენად მას ათასგვარი დამცირება უნდა გამოევლო,—ან გლახა მათხოვარივით მოწყალება ეთხოვა, ან და კერძო საეკლესიო, ან სხვა საქველმოქმედო საზოგადოებისათვის უნდა მიემართა. იგი ყოვლად უუფლებო იყო. სანამ შეეძლო,—ამუშავებდნენ, მაგრამ თუ მუშაობის დროს, სწორედ იმ დროს, როდესაც იგი ოფლსა ღვრიდა პატრონის გასამდიდრებლად, მას მარცხი მოუვიდოდა და დაშავდებოდა, გარეთ გამოაგდებდნენ, როგორც უვარგის საქონელს. სანამ მუშათა კლასსი ჯერ კიდევ სუსტი იყო და თავის დაცვა და ამის შესახები კანონმდებლობაც არ არსებობდა,—ყველაფერი პატრონის ნებასა და კერძო სურვილზე იყო დამოკიდებული.

მუშები აქა-იქ იბრძოდნენ, ცდილობდნენ, რომ უფლება, რამე გარანტია მოეპოვებინათ, მაგრამ მუშათა კლასი იმ დროს ჯერ შეერთებულ ძალას არ წარმოადგენდა, მას ვერც ვერაფერის მოპოვება შეეძლო.

მაგრამ ამ ბოლო დროს შეიცვალა რუსეთი, მუშათა კლასი სოციალურ ცხოვრების შეგნებული მონაწილე შეიქმნა და ამის გამო ბურჟუაზიამაც მის შესახებ ტაქტიკა შესცვალა. წარმოების ნიადაგზე განუწყვეტლივ შეტაკების მოსასპობად 1887 წელს შემოღებულ იქმნა კანონი მუშაობის დროს დაშავებულთა შესახებ, მაგრამ მან ვერავინ ვერ დააკმაყოფილა, რადგანაც საკმაო გარანტიას არ იძლეოდა. მუშებმა ბრძოლა განაგრძეს. 1894 წ. ამ ბრძოლის გავლენით მოხსენებული კანონი შეაკეთეს, მაგრამ ეს შეკეთებული კანონიც არავის არ აკმაყოფილებს და ვენის კონგრესსი ამტკიცებს, რომ მისი ხელახლად გადაკეთება არისო საჭირო.

ორიოდე სიტყვით ამ კანონის შინაარსი განვმარტოთ. კანონის ძალით, შემდგარია თანხა, რომლიდანაც დაშავებულ მუშებს უნდა მიეცეთ ჯილდო,—„პენსია“. თანხის განაწილება „კაპიტალიზაციის“ სისტემაზეა დამყარებული. ამ თანხას განაგებს მთელი ბიუროკრატია და მის შენახვას დიდძალი ფული სჭირდება ყოველწლიურად. თანხის შესადგენად მუშებს და პატრონებს სავალდებულო გადასახადი ადევთ,—მუშები პატრონებზე ნაკლებს იხდიან. (მუშები იხდიან 10%, პატრონები 90%). სახელმწიფო ამ თანხის შესადგენად თავის შემოსავლიდან გროშსაც არ ხარჯავს და, მუშების აზრით, სწორედ ის არის კანონის უმთავრესი ნაკლი. მეპატრონეს თავის თავი ჩაგრულად მიაჩნია,—მთელი ჯამის 90% მე მახდევინებენო,—და ზარალში რომ არ ჩავარდეს, ცდილობს ზედმეტად გაყვლიფოს მუშა და რამე ხრიკებით თვით მუშების შრომაში გამორჩეს ამ თანხას. 1901 წელს კანონი სულ 2.372,000 მუშას ეხებოდა, სტატისტიკამ დაშავების 80.534 შემთხვევა აღნიშნა,—ამათზე 33 მილიონ ფრანკამდე დახარჯული.

უნგრეთში საქმე კიდევ უარესადაა მოწყობილი. ქალაქის მუშას კანონი სრულებით არავითარ გარანტიას არ აძლევს, იგი მხოლოდ სოფლად მომუშავეს მფარველობს და მათთვისაც ეს კანონი მხოლოდ 1900 წელს იყო შემოღებული. ამ კანონის ძალით საერთო თანხის შესადგენად სავალდებულო გადასახადი ადევთ მუშებს და მეპატრონეებსაც. მეპატრონეები სულ ცოტას იხდიან, წელიწადში სულ ერთ ფრანკს და 25 სანტიმს. ყოველ მუშაზე ფულის ერთი ნაწილი სახელმწიფოსაც შეაქვს. ამ თანხიდან დაშავებულ მუშას ეძლევა „პენსია“, მაგრამ სამასხარო „პენსია“,—სულ 10 ფრანკი თვეში.

კამანდო გ—ლია.

---

*) ისტორიულ მატერიალიზმს და საზოგადოდ ძველ კლასსიურ მატერიალიზმს თუ უარსა ვყოფ,—არც იდეალიზმის მომხრე ვარ,—ჩემი თვალთსაზრისი ენერგეტიულია და დამყარებული ოსტვალდის, ნიკატის, ლებონის და სხვ. გამოკვლევებზე.

კ. ს. მოდებაძე სრულიად საჭიროდ არა სცნობდა გეგმის გადამღებ ბიუროს დაარსებას; გეგმების შედგენა მრეწველების მოვალეობას შეადგენს და ხარჯიც მათ უნდა იკისრონ; ბიუროს შენახვა დიდს ხარჯს მოითხოვს; ამას კი კრება თავის საშუალებით ვერ შესძლებს. გეგმის გადაღება და პროექტების შედგენა ტეიგერებსაც შეუძლიანთ, რაც მრეწველებისათვის უფრო იაფად დაჯდება.

ხსენებულ კითხვის გადაწყვეტა შემდეგისათვის გადაიდო.

კრება შეუდგა პროგრამის მეხუთე მუხლის განხილვას, რომელიც შეეხება სოფელ ჭიათურის „პოსადად" გადაკეთებასა და შემოკლებულ თვითმართველობის შემოღებას.

ი. გ. აბაშიძემ განაცხადა: მალე ჩვენში საერობო დაწესებულებები იქმნება შემოღებული და ჭიათურასაც უთუოდ თვითმართველობა მიეცემა; ამიტომ საჭირო აღარაა შუამდგომლობის აღძვრა ჭიათურის „პოსადად" გადაკეთების შესახებ. თუ ჩვენში ერობა არ იქმნა შემოღებული, მაშინ კი ჩვენი შუამდგომლობაც უქმი იქმნება: რამდენიც უნდა ვიშუამდგომლოთ, არავინ შეგვიწყნარებს. კრებამ ერთხმად მიიღო ბ-ნ აბაშიძის წინადადება და უარი განაცხადა შუამდგომლობის აღძვრაზე

ამის შემდეგ სხდომა 4 ოქტომბრამდის გადიდო.

ისარა.

რუსეთი

სტარიცკის (ტვერის გუბ.) საერობო კრებამ ერთხმად შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „6 აგვისტოს დებულება სახელმწიფო სათათბიროს შესახებ რუსეთის პროგრესიულ საზოგადოების სურვილს არ აკმაყოფილებს და რუსეთის პოლიციურ წესწყობილებას არაფრითაც არა სცვლის. რუსეთის საზოგადოებას მინიჭებული არა აქვს მოქალაქისა და ადამიანის უფლებანი.

◆ თავისუფლება პრესისა, სიტყვისა, კრების, კავშირებისა და ხელუხლებლობა პიროვნებისა და სადგომისა. ამისთანა პირობებში საერო წარმომადგენლობა შეუძლებელია, ხოლო განზრახული რეფორმა ნამდვილ საერო წარმომადგენლობის საბრალო აჩრდილია. სტარიცკის სამაზრო **ერობა** მედგარ **პროტესტს აცხადებს 6 აგვისტოს დებულების გამო.** სახელმწიფო სათათბიროში არჩეულები მხოლოდ იმას უნდა ეცადნენ, რომ სათათბირო ძირიან-ფესვიანად გადააკეთონ, საკანონმდებლო უფლება მისცენ და ახალ წარმომადგენელთა არჩევნები საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ, ფარულ კენჭის ყრით მოხდეს, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა (რ. ვ.).

◆ ხარკოვის სამოსწავლო პალატამ ვორონეჟში გაარჩია საქმე მემამულეთა როსტოვცევისა, შჩეპკოვასი და სხვათა, რომელთაც ლევ ტოლსტოის **აკრძალულ ხელთნაწერების გავრცელება** ბრალდებოდათ. ბრალდებულნი ჟანდარმერიამ ორი წლის განმავლობაში აწვალა და მერე სამართალში მისცა, სასამართლომ კი გაამართლა (რ.).

◆ ვარშავიდან სახელმწიფო **სათათბიროში საარჩევნო ცენზი** 10,000-მდე კაცს ჰქონია, პეტერბურგიდან კი—8,500-ს. ამ რიგად, 8500 კაცი სათათბიროში 5 დეპუტატს არჩევს, 10,000 კაცი კი მხოლოდ ოთხს, ე. ი. 1400 პეტერბურგელ ამომრჩეველს იმდენი უფლება ეძლევა, რამდენიც 5000 ვარშაველ ამომრჩეველს (რ. ს.).

◆ ოდესის გენერალ-გუბერნატორის მიერ **გაძევებული პროფესორები**—იაროშენკო, ორჟეცკი და ტარასევიჩი ისევ ოდესაში დაბრუნდნენ (რ. ს.).

◆ ვარშავის პოლიტეხნიკუმის რუს სტუდენტებმა ინსტიტუტის საბჭოს სთხოვეს, აქედან **სხვა ინსტიტუტებში გადასვლის ნება** მოგვეცითო. სტუდენტები თავიანთ თხოვნას იმით ასაბუთებენ, რომ მათ არა სურთ ხელი შეუშალონ პოლონელ სტუდენტებს, რომელთაც საკუთარი მისწრაფებანი და საქმე აქვთ; ჩვენ რუსეთის შუაგულში უფრო კარგად ვიშრომებთ,—სწერენ რუსი სტუდენტები, ვიდრე პოლონეთში, სადაც მხოლოდ ხელს ვუშლით აქაურებს. ჩვენ ვხედავთ, რომ ვარშავაში წესიერი აკადემიური ცხოვრება შეუძლებელია და ამიტომ არც სხვას შევუშლით ხელს და არც ჩვენ დავკარგავთ დროსაო (რ. ს.).

◆ პეტერბურგში კონსტიტუციონალ-დემოკრატებს კრება ჰქონდათ და დაუდგენიათ ოქტომბრის 15-იდან **ლექციების კითხვა** დაიწყონ. სახელმწიფო სათათბიროს შესახებ ყველას შეუძლიან ამ ლექციებს დაესწროს. ლექციებს წაიკითხავენ ცნობილი მოღვაწენი და მწერლები—კარეევი, გესსენი, ნაბოკოვი, ტარლე, კუზმინ-კარავაევი, სპერანსკი, კამინკა და სხ. (რ. ვ.).

◆ პეტერბურგში ობუხოვის მუშებმა შემდეგი თხოვნა მისცეს გენერალ-გუბერნატორს: „ობუხოვის ქარხნის ყველა მუშათა დეპუტაციამ თქვენს აღმატებულებას თხოვნა მისცა და გთხოვათ ჩვენი დაპატიმრებულ ამხანაგ-დეპუტატების განთავისუფლება. თხოვნის წაკითხვის შემდეგ თქვენ პირობა მოგვეცით, თქვენს თხოვნას ავასრულებო; ნამდვილად კი, აგერ რამდენი ხანია, **პირობა არ შეგისრულებიათ.** ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენი პირობა შეასრულოთ (რ. ვ.)

◆ პეტერბურგისა და მოსკოვის **სასულიერო სემინარიის სტუდენტები გაიფიცნენ** და დაადგინეს: სანამ მთავრობა სასულიერო აკადემიებსაც ავტონომიას არ მისცემს, სწავლა არ დავიწყოთო (რ. ვ.).

◆ ინგლისის გაზეთები სწერენ, რომ ამ წლის 1 თებერვალს რუსეთმა, ავსტრიამ და გერმანიამ პირობა დასდეს, თუ რუსეთის პოლონეთში აჯანყება მოხდა, **ავსტრიამ და გერმანიამ რუსეთს უნდა მიაშველონ არა ნაკლებ ორი დივიზიისა.** როგორც ამბობენ, ეს ხელშეკრულება გერმანიის წინადადებით მოხდაო (რ. ვ.).

◆ 25 სექტემბერს, ჩერნიგოვში, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფის, ცნობილ მუხანოვის სახლში 45 კაცმა მოიყარა თავი; მათ შორის იყვნენ პეტერბურგის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, ტაინი სოვეტნიკი კარასოვსკი, თავად აზნაურთა რამდენიმე წინამძღოლი, რამდენიმე სამაზრო საერობო გამგეობის თავმჯდომარე, საერობო უფროსნი, საოლქო სასამართლოს წევრნი, საბჭოს ხმოსანნი და სხ. ცოტა ხნის შემდეგ მუხანოვის სადგომში პოლიცმეისტერი მივიდა და გუბერნატორის მოწერილობა წაიკითხა შესახებ იმისა, რომ კრება უკანონოა და უნდა დაიშალოსო. მუხანოვმა **პროტესტი განაცხადა** იმის გამო, რომ პოლიცია იმის დაუკითხავად შემოვიდა. პოლიცმეისტერმა ოქმი შეადგინა და ყველას ხელი მოაწერინა. დამსწრეებმა ოქმშიაც ჩასწერეს თავიანთი პროტესტი, თავმჯდომარე აირჩიეს და კრება განაგრძეს. პოლიცმეისტერი ამ ამბავს წინ აღუდგა, მაგრამ თავმჯდომარემ მიუგო, როგორც გნებავთ, ისე მოიქეცითო. ხალხს ეგონა, საცაა კაზაკები მოვლენო, მაგრამ პოლიციამ კაზაკების მოყვანა ვერ გაბედა. ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ პოლიცმეისტერი იქვე ჩამოჯდა და ორატორებს ყურის გდება დაუწყო. კრებამ გადასწყვიტა, სახელმწიფო სათათბიროში ჩვენი დეპუტატები მხოლოდ იმას უნდა ეცადნენ, რომ ეს სათათბირო ძირიან-ფესვიანად გადააკეთონო. კრებამ აირჩია ცალკე კომიტეტი, რომელმაც ცენტრალურ კომიტეტთან ერთად საარჩევნო კომიტეტები უნდა დაარსოს და არჩევნებს ხელმძღვანელობა გაუწიოს (რ.).

სიტყვა

(წერილი რედაქციის მიმართ)

უნდა გამოვტყდეთ და სახალხოდაც აღვიაროთ, რომ ჩვენში აღძრულ მოძრაობას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა; იმან გაჰკვალა ცხოვრების ახალი გზა, დასდვა შრომას ფასი, მუშას მოუპოვა სამუშაო და ეს დავიწყებული ჭეშმარიტება, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, მიაგონა ყველას.

საუკუნის განმავლობაში ჩვენში ეკალ-ნარი ითესებოდა და ცხოვრების წყარო განძრახ შეგუბებული იყო... მართალია, ნაპირებზე, თვალის ასახვევად, ია, ვარდი ითესებოდა და თვით გუბეც შორიდან წმინდად მოსჩანდა, მაგრამ მის ძირში კი გველ-ბაყაყები ფუსფუსებდენ და შმორის სუნი ჰაერს სწამლავდა. საჭირო იყო მისი გაწმენდა, ეჭირვებოდა ძალა და ეს ძალაც უნდა ყოფილიყო ხალხი. ეს შეიგნეს ჩვენში და ხალხმა მოინდომა არხის გაყვანა, რომ ის ტუმბო დაწმენდილიყო.

ახლად გაყვანილ არხზე ყოველთვის მღვრიე წყალი ამოდის და, მაშასადამე, ცოტაოდნად ჩვენი ცხოვრებაც აიმღვრა. უამისობა არ მოხერხდებოდა,—მშობლიო კანონია!.. და როცა დაწდება, მერე კი წმინდა ნაკადული იწყებს მდინარეობას. ეს შეიგნო დღეს გამოღვიძებულმა ჩვენმა ხალხმაც. იცის, რომ ძალა ხალხის შეერთებულ შრომაშია!.. მაგრამ აქ ისიც უნდა აღვიაროთ, რომ უნაყოფო-ფართხალი არ არის შრომა და ბრბოსაც არა ჰქვიან ხალხი. ბრბომ ჯვარს აცვა ქრისტე ხალხის სახელით, მაგრამ ხალხმა კი დაჰგმო ბრბო და სათაყვანებლად გაიხადა ჯვარცმული.

უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ სიმინდის ყანას, უშველად, გათოხნა უნდა. გაუთოხარი თუ დარჩა, ბალახ-ბულახი წაიღებს და გაფუჭდება მთელი ყანა. და რომ ეს არ მოხდეს, მუშა კეთილი—შედის შიგ თოხით და სიფრთხილით მარგლავს. მართალია, ხანდახან მავნე ბალახს კარგი თესლიც მოჰყვება ხოლმე, იჭრება ზოგი კარგიც, მაგრამ ეს უნებური, უცაბედოთი შემთხვევაა, სამწუხარო, და რაღა გაეწყობა. მაგრამ ვინც მხოლოდ, წამხედურობათა და კუდაბზიკობით შედის და შეაქვს თოხი წარა-მარად აქეთ-იქით გაურჩევლად საქნევად. იმისი კი რა მოგახსენოთ!.. იმას სულ სხვა სახელი ჰქვიან და არა მუშა!..

შრომა-მუშაობასაც თავისი კანონები აქვს, და თავთავისი დრო ალოს არჩევა უნდა. ჯერ დახვნა უნდა მიწას, მერე დათესვა და, რომ დამწიფდება,—მომკა. და მიტომაც გადმოუცია ჩვენთვის ჩვენ მკვდებს საგულისხმო ანდაზები: „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო". და ,,სადაც არა სჯობს, გაძლა სჯობს''. დიახ!.. ხანდახან დაგვიანება არ გვარგა!.. და ზოგჯერ კი აჩქარებაც აფუჭებს საქმეს!. დღეს ჩვენში ყველა ხალხის სახელით გამოდის. დიდი და პატარა, კარგი და ავი, ბრბო და ხალხი... ბევრი რამ არა ხალხის საკადრისი ჰხდება, რაშიაც ხალხს არა აქვს ბრალი!.. ამას გარჩევა და გამტკიცება უნდა და ვინ უნდა იყოს ეს გამრჩევ-გამტკეცი? ვინ და ხალხი. იმანვე უნდა დასდოს მსჯავრი მტყუან-მართალს და არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ მტრის მოსაგერებლად მარტო ერთი კუთხის გამაგრება არ კმარა! ან მტერზე ხალხი მარტო ერთი გზით არ უნდა მიდიოდეს!.. მაშასადამე, აქ შეერთებაა საჭირო. ძალის დაქსაქსვა-დანაწილება მხოლოდ მტრის სასარგებლოა და მოყვრის დამამხობელი...

,,ვისაცა ჰქონდესთ სასმენელი სმენად, ისმინეთ''...

აკაკი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 10 ოქტ. პეტერბურგის არქეოლოგიური ინსტიტუტის საბჭო შუამდგომლობს სახალხო განათლების მინისტრის წინაშე, რომ ავტონომია, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებს მიენიჭა, მას არ მიენიჭოს, რადგანაც იგი სასწავლო კი არა, სამეცნიერო დაწესებულებაა. სახალხო განათლების სამინისტროში მუშავდება წესდების პროექტი თათრების, კალმიკების, კირგიზების, სართების, ბურიათების, ბაშკირების და სხვათა პირველ დაწყებითი სკოლების მოწყობის შესახებ. განზრახულია გააფართოვონ სასკოლო საქმე. პირველ ორ წელიწადს სწავლება აწარმოვონ ადგილობრივ ენებზე, შემდეგ რუსულზე. ახლო მომავალში პროექტს შეიტანენ სახელმწიფო საბჭოში. სახალხო განათლების სამინისტროს განზრახული აქვს დააკმაყოფილოს შუამდგომლობა სემინარიელების უნივერსიტეტებში მიღების შესახებ. საყოველთაო გადაწყვეტილება სემინარიელების უნივერსიტეტებში დაშვების შესახებ გადაიდო უნივერსიტეტების, გიმნაზიების და სასულიერო სემინარიების რეფორმის დრომდე.

12 ოქტომბერს შესდგება უკანასკნელი სხდომა მინისტრთა საბჭოსი, მინისტრთა კაბინეტის საკითხის განსახილველად, რის შემდეგაც გადაწყვეტილება ხელმწიფეს წარედგინება.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

9 ოქტომბერი

ხარბინი, 7 ოქტომბერი (საკუთ. კორესპონ.) სასხალინის წითელი ჯვრის დანი მოწყალებისა დაწვრილებით გადმოგვცემენ, თუ როგორ საზიზღრად ექცევიან იაპონელები რუს-ტყვეებს. ექიმი ნარჩისოვი იაპონელ ოფიცრის ბრძანებით თოფებით დახვრიტეს, რადგანაც ექიმს არ უნდოდა წითელი ჯვრის ფული გამოეჩინა, უიარაღო მცხოვრებთა ერთი ნაწილი იაპონელებმა ამოჟლიტეს. ათი-ათას კაცამდე უძლური მოხუცი, ქალი და ბავშვი იაპონელებმა გემებით გადიყვანეს დე-კასტრის უდაბნო ნაპირებზე. ესენი ჩაუცმელნი, მშიერ-მწყურვალნი იძულებულნი იყვნენ გაევლოთ 65 ვერსი დაბურულ ტყეში და, როგორც იყო, მარინსკს მიაღწიეს. გზაში ბევრი დაიღუპა. მარინსკიდან ისინი გადაიყვანეს ხაბაროვსკში და იქ ნიჟეგოროდის სავადმყოფოში მოათავსეს.

ოდესა, 10 ოქტომბერი. უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტებზე ლექციების კითხვა დაიწყო.

პარიზი, 10 ოქტომბერი. ლუბე და რუვიე მადრიდს წავიდნენ.

ბერლინი, 10 ოქტომბერი. რუსეთის ელჩი გრაფი ოსტენ-საკენი ბადენბადს წავიდა, სადაც იმპერიის კანცლერი ინახულა.

რომი, 10 ოქტომბერი. პაპმა სწირა გუშინ და თუმცა ექიმებმა დაუშალეს, 200 მლოცველი მიიღო. პაპი მეტად გამხდარია და უქეიფობს.

უმანი, 10 ოქტომბერი. ელიზავეტოგრადისა, ტაგანჩისა, ბოგდანოვკისა, მოტოვილოვკისა და ლუტცკის სადგურებზე გასაგზავნ საქონელს აღარ იღებენ.

ყაზანი, 10 ოქტომბერი. ნიკოლაევის გზაზე მოსკოვის მხრივ მატარებლების მიმოსვლა გაფიცულმა მუშებმა შესწყვიტეს. უკანასკნელი მატარებელი გავიდა 3 საათსა და 30 წამზე, ახლა ყველა გზები შეჩერებულია.

მოსკოვში გამოწვეულია მატარებლების მოსამსახურეთა 30 ბრიგადა.

სიმფეროპოლი, 10 ოქტომბერი. სევასტოპოლის რკინის გზაზე მატარებლების მიმოსვლა შესწყდა.

კალუგა, 10 ოქტომბერი. გაიფიცნენ მოსამსახურენი სიზრან-ვიაზემსკ მოსკოვ-კიევ ვორონეჟისა და რიაზან-ურალის რკინის გზებზე. მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. გაზეთები აღარ გამოდის.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 10 ოქტომბერი. სამი დღეა მოსკოვისაკენ მატარებლები აღარ დადიან.

ხარკოვი, 10 ოქტომბერი. დღეს ადგილობრივ რკინის გზებზე მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. სამმართველოს ყველა განყოფილების მოსამსახურენი გაიფიცნენ.

პერმი, 10 ოქტომბერი სემინარია დაიხურა.

დონის-როსტოვი, 10 ოქტომბერი. ნოქრები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ქუჩებში და თხოულობდნენ, რომ პატრონებს მაღაზიები დაეკეტნათ, პოლიცია საქმეში არ ჩარეულა, უწესოება არა მომხდარა-რა.

ეკატერინოსლავი, 10 ოქტომბერი. საშუალო სასწავლებლების მოწაფეებმა სწავლა შესწყვიტეს. ეკატერინოსლავის რკინის გზის ყველა მოსამსახურენი გაიფიცნენ. მატარებლების მიმოსვლა შესწყდა.

პეტერბურგი, 9 ოქტომბერი. სენ-მიხელის გუბერნატორი გენერალი ვატაცი კიევის გუბერნატორად დაინიშნა, ხოლო კიევის გუბერნატორი გენერალი სავიჩი—კოსტრომის გუბერნატორად.

სტავროპოლსა და პირლევის შუა დაიღუპა გემი „ტურგენევი".

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. პეტერბურგიდან კურიერის მატარებლით ჩამოვიდა გენერალ-გუბერნატორი დურნოვო, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა გზათა მინისტრთან რკინის გზაზე გაფიცვების შესახებ. გზათა მინისტრს მოლაპარაკება აქვს აგრეთვე რკინის გზების უფროსებთან.

ხერსონი, 10 ოქტომბერი. აქ შესდგა კრება, რომელსაც აზრად აქვს ხერსონში დაარსონ სახალხო უნივერსიტეტი დასავლეთ—ევროპის ტიპისა.

მიტავა, 10 ოქტომბერი. დღეს გენერალ გუბერნატორმა ორ ვოლოსტს 5.000 მანათი ჯარიმა შეაწერა, რადგანაც ამ ვოლოსტების ახლოს ვიღაცეებმა გააფუჭეს რკინის გზის ლიანდაგი და ტელეგრაფი.

პეტერბურგი, 10 ოქტომბერი. ხალხის გამოკვების შესახებ შემდგარმა კრებამ ვატაცის თავმჯდომარეობით 7 და 8 ოქტომბრის კრებებზე დაადგინა: ხორბლის სასყიდლად მიეცეს ტამბოვის გუბერნიას 500,000 მან. პენზენსას—500,000 მ. რიაზანისას—500,000 მ. სარატოვისას—1,600,000 მ. და ტულისას—500,000 მ. ამას გარდა საქონლის საკვების სასყიდლად მიეცეს სარატოვის საგუბერნიო ერობას 3 მილიონი და საზოგადო სამუშაოსთვის—650,000 ვორონეჟის სამაზრო ერობას—100,000 მ. ზემლიანსკისას 100,000 მ.

ბერლინი, 10 ოქტომბერი. ვოლფის სააგენტოს სიტყვით პეტერბურგში მყოფი გერმანიის ელჩი ალვენსლებენი სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა. მის ადგილას დაინიშნა კოპენჰაგენში მყოფი ელჩი შენი.

ბაქო, 10 ოქტომბერი. ღამე, სადგურ ალიატის ახლოს ყაჩაღები დაესხნენ კაზაკებს, მოჰკლეს, 7 დასჭრეს ერთი. გენერალ-გუბერნატორმა გამოაცხადა ქარხნებს საკმაო ჯარი იცავს და ყველას შეუძლიან უშიშრად მუშაობას დაუბრუნდესო.

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. გუშინ, ღამის 2 საათზე, ფარმაცევტების კრებაზე პოლიცია შევიდა და კრების დახურვა მოითხოვა. კრება დაიშალა. გუშინ გაიფიცა ერთი აფთიაქი, დღეს ორი.

პეტერბურგი, 10 ოქტომბერი. პოლონეთში არჩევნების დამატებითი წესდების პროექტი დასამტკიცებლად ხელმწიფეს წარუდგინეს. ფინლიანდიის სახაზინო რკინის გზების დირექტორი გენერალ-მაიორი დრაჩევსკი სენმიხელის გუბერნატორად დაინიშნა, მის ადგილას დანიშნეს იმიერ ბაიკალის რკინის გზის მკეთებელი ინჟენერი რუანი.

11 ოქტომბერი.

ხარკოვი. გაიფიცნენ კურსკო-სევასტოპოლის, ხარკოვო—ნიკოლაევის რკინის გზების მოსამსახურენი. მატარებლები სადგურებზე გააჩერეს. მიმოსვლა შეწყვეტილია. სადგურზე ჯარია, ქუჩებში ხალხი ათასობით იკრიბება. ტრამვაი შეაჩერეს, მაღაზიები იხურება, მოედნებზე ცხენოსანი ჯარია, ,,იუჟნი კრაი'' რედაქციაში ფანჯრები ჩაამტვრიეს.

სუმი.—რკინის გზის მოსამსახურეები გაიფიცნენ.

ეკატერინოსლავი.—გაფიცვა ნაშუადღევის 2 საათზე დაიწყო და თან-და-თან მუშაობის ყველა დარგს მოედო, ტელეგრაფი წაახდინეს, ორთქლმავალი, და სახელოსნოებში მანქანები გააჩერეს. სადგურზე ჯარია. ხელოსნების და ნოქრების გაფიცვას ელიან. მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია: ტრამვაი გააჩერეს. გაიფიცნენ რკინის გზის ტელეგრაფის მოხელენიც, სადგური და ხიდი ჩაბნელებულია, მეეტლე ცოტაა.

სარატოვი. რკინის გზის მოსამსახურენი გაიფიცნენ.

კირსანოვი, გაიფიცნენ რკინის გზის მოსამსახურენი.

კოზლოვი. დილით 1 საათზე რამოდენიმე ათასმა რკინის გზის მუშამ ქუჩაში ჩაიარა და მოითხოვა მუშაობის შეწყვეტა, სასწავლებლების დახურვა, რაც შესრულებული იყო. სიტყვებს ამბობდნენ. სახელოსნოებში ყოველ დღე კრებებია.

ხარკოვი.—მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია. ქუჩაში ხალხი ტრამვაის და ეტლებს აჩერებს.

ელიზავეტგრადი.—ხარკოვიდან მატარებელი არ მოსულა, ოდესიდან ხარკოვისაკენ მიმავალი მატარებელი აქა სდგას.

სარატოვი.—რიაზანო-ურალის რკინის გზაზე გაფიცვა არის.

მოსკოვი. მოსკოვო-ბრესტის გზაზე მატარებლები მოდის, მაგრამ არ გადის, აგრეთვე მოსკოვო-კიევო-ვორონეჟისაზე რიაზანო-ურალის და მოსკოვო-კურსკის გზებზე მოვიდ ორი მატარებელი. დილით 4 საათზე გაფიცულთა გროვა ნიკოლოოზის სადგურზე მივიდა, გააჩერა მატარებლები. ამის შემდეგ გააჩერეს მატარებლები ვინდავის გზაზე. მოსკოვი ახლა სრულებით მოწყვეტილია.

კიევი. მოსკოვო-კიევის გზაზე მიმოსვლა შეწყვეტილია. პოლტავის გზაზე მატარებლები მხოლოდ სადგურ დარნიცამდის მივიდნენ.

მოსკოვი. ქალაქის მუშათა კრებამ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ მუშათა ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შეუძლიან ჩამოაგდოს სიწყნარე. საღამოს 8 საათზე გაფიცული ფარმაცევტები მივიდნენ აფთიაქში და აიძულეს იქ მყოფნი აფთიაქებიდან წასულიყვნენ. აფთიაქების პატრონები იძულებული ხდებიან უარი განაცხადონ წამლების გაკეთებაზე. სახელოსნოებში ყოველდღე მიტინგებია.

სიმბირსკი საბჭოს დარბაზში, ტრუბეცკოის პანაშვიდის შემდეგ, აუარებელ ხალხის თანადასწრებით პოლიტიკური დემონსტრაცია მოხდა.

მოსკოვი. 5000 კაცი სამი მხრივ ნიკოლაევის სადგურისაკენ გაემართა, გზაში მათ ჯარი დახვდა, რომელიც სადგურთან იდგა. ხალხმა გარს შემოუარა სადგურს და 15 ორთქმავალი გააჩერა. ერთი ორთქლმავალი უმემანქანოდ გაუშვეს და მან რამოდენიმე ვაგონი დაამსხვრია. ხალხმა დააქცია ტელეფონი, სიგნალიზაცია და ტელეგრაფი.

კრემენჩუგი. შეწყდა მიმოსვლა ხარკოვო-ნიკოლაევის გზაზე.

ეკატერინოსლავი. მიმოსვლა შეწყდა.

სმოლენსკი, რკინის გზის მუშებმა არ ისურვეს თავიანთ საქმეებზე მოლაპარაკება თუ მათ კრებას პოლიცია დაესწრება.

მოსკოვი.—უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს პროფესორი მანუილოვი.

პეტერბურგი.—გაზეთების სიტყვით ამ დღეებში მოელიან დიდმნიშვნელოვან კანონის გამოცემას, რომელიც შეეხება სახელმწიფო სათათბიროს და რომელმაც ამ სათათბიროს ახალი უფლებები უნდა მიანიჭოს. ამ ახალ უფლებების ძალით სათათბირო საზღვარ გარეთის საკონსტიტუციო პარლამენტებს დაემგვანება.

გრაფ სოლსკის კომისიაში აზრი გამოითქვა რომ მინისტრთა კაბინეტის შედგენამდის კარგი იქმნებოდა, რომ მთავრობას თავის მოქმედების პროგრამა გამოერკვია და გამოეცხადებინა, რათა საზოგადოებას მაზე თავისი შეხედულება გამოეთქვა. კომისიის ორი წევრი ამის წინააღმდეგი შეიქმნა და აცხადებდა მინისტრ კომიტეტის მოწვევა თვითპყრობელობის პრინციპს ეწინააღმდეგებაო.

პეტერბურგი, 10 ოქტომბერი. სამხედრო სამედიცინო აკადემიის კონფერენციამ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ სტუდენტებს მიეცეთ განსაკუთრებული შენობები მიტინგებისათვის.

მინისტრად ნამყოფმა ზინგერმა შუამდგომლობა აღძრა თავის სამსახურიდან დაითხოვნის შესახებ.

უნივერსიტეტში პროფესორმა გესსენმა, წაიკითხა ლექცია, რომელიც შეეხებოდა უნივერსიტეტის საკითხს და დაათავა სრულის იმედის გამოთქმით, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი იქმნება თავისუფალი მეცნიერება თავისუფალ ქვეყანაში.

კავშირის კრებაზე, რომელიც 9 ოქტომბერს მოხდა, დაარსდა ლიგა, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი,

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შირბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა'. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულლიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის სა [illegible], ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილით 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 წ.)ს. 31

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 . 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 6 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 2 წ. (8 ს. 20 წ.).

ზორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (12 ს. 28 წ).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აუწყებს, რომ ამა წლის 17 ოქტომბერს, დილის 12 საათზე, **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა თივის 75 ზვინისა** ციტოხვევის მამულში (ს. ოლგინსკაის მახლობლად) თივის გასინჯვა ყოველ დღე შეიძლება. თივა გაიყიდება წონით და იმ სასწორით, რომელიც ამ მამულში იმყოფება. (1—1)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ქალების და ბავშვების კაბებს შესაკერად
იქვე მიიღებენ თეთრეულს შესაკერად და ნიშნების ამოკერვას.

ვერა, მოსკოვის ქუჩა № 4 (5—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 11 Октября 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.